

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში მე, როგორც სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ვსაქმიანობდი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წესდებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და წლის განმავლობაში არსებული ფაქტობრივი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის 2018 წელს სამოქმედო გეგმით დადგენილი იქნა საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები, კერძოდ:

ავტორიზაციის პროცესის წარმატების გავლის მიზნით შემუშავებული იქნა სამუშაო გეგმა, რომლით გათვალისწინებული საქმიანობაც გადანაწილდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტებსა და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებზე, კომპეტენციათა მიხედვით, მათ შორის პრიორიტეტად განისაზღვრა შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის ანალიზი და განახლება; ავტორიზაციის ახალი სტანდარტებით დადგენილი მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის შექმნა/დამუშავება(უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დარეგულირების და ანგარიშვალდებულების წესის ჩამოყალიბება); ავტორიზაციის მიზნებიდან გამომდინარე მთელი რიგირ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა;

ამას გარდა, დაიგეგმა მიმდინარე საქმიანობაც, კერძოდ:

- საბიბლიოთეკო მომსახურების მოდერნიზაცია /განახლების პროცესის გაგრძელება;
- ექსპერიმენტალური სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების განახლება-შექმნა და მათი უახლესი ტექნიკით, ნოვატორული ლაბორატორიული მოწყობილობებით აღჭურვის პროცესის გაგრძელება;
- უძრავი და მოძრავი ქონების განახლება და მათი მიზნობრივი გამოყენების პოლიტიკის შემუშავება;
- სტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის მართვასა და საგანმანათლებლო პროგრამების შედგენა-დახვეწის პროცესში;

- სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში და გრანტებში სტუდენტთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- სტუდენტთა ღონისძიებების ყოველმხრივი ხელშეწყობა, მათ შორის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სასწავლო-სამეცნიერო მივლინებების, სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ხელშეწყობა და დაფინანსება;
- ინტერნაციონალიზაციის პროცესის გააქტიურება (მათ შორის სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ზრდა);
- შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტების ყოველმხრივი მხარდაჭერა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა სტიმულირება და ასევე, სოციალურად დაუცველ და ობოლ სტუდენტთა სწავლის საფასურის შემცირება (ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით);
- სტუდენტური აქტივობების, სტუდენტური ორგანიზაციების მიერ შემუშავებული პროექტებისა და იდეების კოორდინაცია და შესაბამის სტრუქტურებთან მათი ინტერესების დაცვა;
- აბიტურიენტთა მოზიდვის მიზნით ცალკეული ღონისძიებების ჩატარება/დაფინანსება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა (მათ შორის ეროვნული და სამეცნიერო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები) ჩატარება, სამეცნიერო და პრაქტიკული მივლინებების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- სამეცნიერო/კვლევითი გრანტების დაფინანსება/თანადაფინანსება;
- ზოგადად, სტუ-ს დასახული მიზნებისა და ამოცანების მაქსიმალური ფინანსური უზრუნველყოფა, არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

1. საბიუჯეტო მაჩვენებლები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებით, სამეცნიერო-კვლევითი

გრანტების დაფინანსებით, კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კონსულტაციის შედეგად, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N678 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სენატის მიერ დამტკიცებული „ბიუჯეტის შედგენის წესის“ ნორმათა დაცვით.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტი დამტკიცდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2017 წლის 27 დეკემბრის N38 სხდომის N3 დადგენილებით. დამტკიცების მომენტში, უცნობი იყოსაბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობა, შესაბამისად ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი დამტკიცდა მის გარეშე. მოგვიანებით, განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სახსრებით უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაზუსტება. დამტკიცებულმა ნაერთმა ბიუჯეტმა, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში შეადგინა 55 630 918 ლარი. წლის განმავლობაში უნივერსიტეტის პოლიტიკის, ფაკულტეტების საბჭოებისა და ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, 2018 წლის ბიუჯეტში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები და წლის ბოლოს ნაერთმა ბიუჯეტმა შეადგინა 98 391 022 ლარი, ანუ დამტკიცებულზე 42 760 104 ლარით მეტი:

**სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის
დამტკიცებული და დაზუსტებული მაჩვენებლები (ლარი)**

დასახელება	კოდები	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	სხვაობა
სულ შემოსულობები ნაშთის ჩათვლით		55 630 918	98 391 022	42 760 104
ნაშთები პერიოდის დასაწყისში სულ		172 338	5 733 859	5 561 521
მათ შორის				

SDSU- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“	1.4.2.3.2.9	0	1 163 499	1 163 499
საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“(პროგრამული კოდი 32 04 03 04)	1.4.2.3.2.9	0	900	900
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	1.3.3.1.2.2	0	740 206	740 206
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.2.1	0	698 205	698 205
საერთაშორისო გრანტები		0	74 354	74 354
სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება	1.4.2.3.2.9	0	2 816 360	2 816 360
შემოსავალი სახელმწიფოებზე თემებიდან და ცენტრებიდან	1.4.2.3.2.9	143 338	211 335	67 997
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	1.4.2.3.2.1	29 000	29 000	0
მიმდინარე წლის შემოსულობები სულ		55 458 580	92 657 163	37 198 582
მათ შორის				
სწავლის საფასური	1.4.2.3.2.9	47 127 682	47 977 598	849 915
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობა	1.4.2.3.2.9	26 000	26 000	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მ.შ.		2 320 999	37 394 192	35 073 193
საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“(პროგრამული კოდი 32 04 03 04)	1.4.2.3.2.9	1 500	3 000	1 500
სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (32 04 02 03)		0	1 134 900	1 134 900
სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა (32 05 04 03)		0	5 329 339	5 329 339
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 07 02 03)	1.3.3.1.2.2	2 319 499	5 601 222	3 281 723
„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამა(32 04 05 130		0	1 595	1 595
„მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამა(პროგრამული კოდი-32 05 05)		0	1 174 136	1 174 136

„საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი (პროგრამული კოდი-32 11)		0	24 150 000	24 150 000
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.		630 985	1 861 912	1 230 927
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	1.3.3.1.2.1	482 577	1 540 407	1 057 830
საერთაშორისო გრანტები		148 408	321 505	173 097
კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები		5 352 914	5 397 461	44 547
1.შემოსავალიშენობებისადანაგებობებისიჯარაშიანმართვაშიგადაცემიდან	1.4.2.3.2.1	734 552	965 386	230 834
2. შემოსავალიდეპოზიტებზედაანგარიშებზედარიცხულიპროცენტებიდან	1.4.1.1.5	217 000	246 000	29 000
3.შემოსავალისახელშეკრულებოთემებიდანდაცენტრებიდან	1.4.2.3.2.9	1 704 000	2 413 864	709 864
4. ათასწლეულისგამოწვევისფონდი „პროფესიულიგანათლებაეკონომიკისგანვითარებაში“	1.4.2.3.2.9	2 697 362	1 533 863	-1 163 499
5.სხვაშემოსავლებიარასაბაზროწესითგაყიდულ ისაქონლიდანდამომსახურებიდან-SDSU-ათასწლეულისგამოწვევისფონდი)	1.4.2.3.3	0	238 348	238 348

ბიუჯეტის გაზრდილი მაჩვენებლებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ პროგრამული დაფინანსების თანხებზე და შეადგენს 35 073 193 ლარს, საიდანაც 24 150 000 ლარის კრედიტი(7 მილიონი ევრო)უნიკრედიტ ბანკ ავსტრიას მიერ „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ პროექტის დაფინანსებისათვისიქნა გამოყოფილი.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით გამოცემულ იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის⁹ განკარგულება, სადაც ასახულ იქნა, როგორც საბიუჯეტო მაჩვენებლების ზრდა, ასევე ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები.განკარგულებებით ასახული საბიუჯეტო ზრდის მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში შეადგინა 2 077 354 ლარი, საიდანაც1 174 136 ლარი პროექტის „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამით იყო განსაზღვრული, 586 650 ლარი–პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“, 222 661 ლარი–პროგრამა „საქართველო-SDSU“(სან-დიეგოს

უნივერსიტეტიდან მიღებული დაფინანსება)იყო განსაზღვრული; 55 900 ლარით მოხდა საერთაშორისო გრანტების ზრდა, 34 912 ლარით-სსიპ-შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ზრდა, 1 500 ლარით-ქვეპროგრამა „ცოდნის კარის“ ზრდა, ხოლო 1 595 ლარით განისაზღვრა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამა.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები განხორციელდა 4 446 071 ლარის ოდენობით (4,5%) აღნიშნული ცვლილებებიდან 4 385 995 ლარის მუხლობრივი ცვლილება განხორციელდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს(სენატის) დადგენილებებით, ხოლო 60 076ლარის მუხლობრივი ცვლილება - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებებით (სულ ცვლილებათა 0,06%), რაც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სენატის მიერ კანცლერის კომპეტენციის ფარგლებში მუხლობრივ ცვლილებათა დადგენილ ქვოტას.

უნივერსიტეტის საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური პოტენციალის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სამეცნიერო კვლევის პირობების გაუმჯობესება და კვლევებისა და სწავლების ინტეგრირების ხელშეწყობა. განსახორციელებელი ღონისძიებები დაჯგუფდა ერთგვაროვნების მიხედვით და მოხდა 2018 წლის ბიუჯეტის ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსების გამოყოფა:

1. სასწავლო(საფაკულტეტო), ადმინისტრირების, სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიების ფარგლებში სწავლის საფასურიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობებით გაწეული ხარჯები ;
2. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსება (საერთაშორისო და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები);
3. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების და ახალგაზრდების წახალისების პროგრამა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“ (პროგრამული კოდი 32 04 03 04);
4. სახელმწიფო სტიპენდიების დაფინანსების პროგრამა(პროგრამული კოდი 32 04 02 03);
5. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა(პროგრამული კოდი 32 05 04 03);

6. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა(პროგრამული კოდი 32 07 02 03);
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობა;
8. პროექტი „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა“(პროგრამული კოდი 32 04 05 13);
9. პროექტი „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამა(პროგრამული კოდი-32 05 05);
10. „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი (პროგრამული კოდი-32 11)

ღონისძიებები ფინანსდება, როგორც საკუთარი სახსრებით, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო გრანტებიდან მიღებული შემოსულობებით.

სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების თანხები შეადგენს 30 615 834 ლარს, საერთაშორისო გრანტები – 395 859 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსულობები – 67 379 329 ლარს.

I. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული შემოსულობები განისაზღვრა 30 615 834 ლარით:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მ.შ.	30 615 834
1.სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა (32 05 04 03)	5 329 339
2.სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (32 04 02 03)	1 134 900
3.„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამა (პროგრამული კოდი-32 04 05 13)	1 595
4.„საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი (პროგრამული კოდი-32 11)	24 150 000

1.სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება(პროგრამული კოდი 32 05 04 03) – 5 329 339 ლარი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 05 თებერვლის N103 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის (პროგრამული კოდი 32 05 04 03) „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსების მოცულობამ სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში შემავალი 15 ერთეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის, შეადგინა 4 977 065 ლარი, რომელიც მოიცავდა მხოლოდ „სუბსიდიის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების დასაფინანსებელი თანხები დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 04 აპრილის N330 ბრძანებით. გადასახდელები გაიწერა ამავე სახელწოდების პროგრამით.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 04 აპრილის N330 ბრძანების, 2018 წლის 27 აპრილის N397 ბრძანების და საქართველოს განათლების, კულტურის, სპორტისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 08 ნოემბრის N411 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 5 329 339 ლარით, საიდანაც 4 933 135 ლარი „სუბსიდიების“ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსებისთვის არის გათვალისწინებული, 12 625 ლარი–„სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსებისთვის, ხოლო 383 579 ლარი –„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების დაფინანსებისთვის(რომელიც წლის დასაწყისში არ იყო დამტკიცებული).

„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს შეადგენს სამეცნიერო-

კვლევითი დაწესებულებების/ერთეულების ხელშეწყობისათვის სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა,

სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-

ჩვევების გამომუშავება; სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისათვის,

საჭირო ტექნიკური მხარდაჭერის და შესაფერისი პირობების შექმნის უზრუნველყოფა;

სამეცნიერო პოტენციალის ამაღლება, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-

კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდა თაობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში მოზიდვისა და ჩაბმის მიზნით, კვლევის პროცესში ინოვაციების გამოკვეთა, ეკონომიკის განვითარებაზე და ინოვაციებზე ორიენტირებული კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.

2. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს(პროგრამული კოდი 32 04 02 03) – 1 134 900 ლარი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 07 თებერვლის N115, 2018 წლის 24 აპრილის N 392 და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 29 ნოემბრის N488 ბრძანებების საფუძველზე დამტკიცებულ „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ (პროგრამული კოდი 32 04 02 03) პროგრამაში ჩართულ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განესაზღვრა 1 134 900 ლარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 07 თებერვლის N115 ბრძანებისა და 2018 წლის 08 თებერვლის N MES 6 18 00138844 წერილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დაფინანსებას, ბაკალავრიატის პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 %-ს (787 სტუდენტი) იანვრისა და თებერვლის თვეებში სტიპენდიით უზრუნველსაყოფად გამოეყო 236 100 ლარი

2018 წლის 24 აპრილის N 392 ბრძანებისა და 2018 წლის 25 აპრილის N MES 5 18 00463707 წერილის საფუძველზე, პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, სტუ-ს 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ბაკალავრიატის პროგრამებზე 2018 წლის 01 აპრილის მდგომარეობით აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 %-ს (731 სტუდენტი) მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებში სტიპენდიით უზრუნველსაყოფად გამოეყო 548 250 ლარი ხოლო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 29 ნოემბრის N 488 ბრძანებისა და 2018 წლის 2 9 ნოემბრის N MES 2 18 01530357 წერილის საფუძველზე, პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, სტუ-ს 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის პროგრამებზე 2018 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით აქტიური სტუდენტის სტატუსის

მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4 %-ს (779 სტუდენტი) ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში სტიპენდიით უზრუნველსაყოფად გამოეყო 350 550 ლარი,

სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამის მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა წახალისება და სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა .

3. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამა (პროგრამული კოდი-32 04 05 13)-1 595 ლარი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 04 აპრილის N333 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამის (პროგრამული კოდი-32 04 05 13)დაფინანსების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოეყო 1 595 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა ქ. ამბროლაურში ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის, ლექციის „ტექნიკური პროგრესის 100 წელი“ ჩატარებას, ღონისძიების გაშუქებას, სტრიმს სტუ-ს სტუდენტური ძალებით, რომელიც ჩატარდა წარმატებით.

4.„საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი(პროგრამული კოდი-32 11) -24 150 000 ლარი.

2017 წლის 04 აპრილის ქვესასესხო ხელშეკრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ შორის, „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“პროექტთან დაკავშირებით, უნიკრედიტ ბანკ ავსტრია-თან (UniCredit Austria AG) 2017 წლის 7 აპრილს ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას 7,000,000 (შვიდი მილიონი) ევროზე, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო, საგანმანათლებლო და კვლევითი ტექნიკის მიწოდებას, მოწყობილობების და სხვა სასწავლო და სალექციო საშუალებების მონტაჟსა და კადრების ტრეინინგისათვის საჭირო ხარჯებს და

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 32 11 კოდით აისახა აღნიშნული პროექტისათვის გათვალისწინებული თანხა 20 300 000 ლარის ოდენობით. ასევე ჩარიცხულ იქნა შეძენილი ლაბორატორიის დამატებული ღირებულების გადასახადი 3 850 000 ლარის ოდენობით.

II. საერთაშორისო (მიზნობრივი) გრანტები – 395 859 ლარი (პროგრამული კოდი-32 04 05 02)

მიზნობრივი გრანტების დაფინანსების პროგრამა 2018 წლის ბიუჯეტით საკასო ნაშთის ჩათვლით (74 354 ლარი) განისაზღვრა 395 859 ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწერა დაფინანსების გამცემი დონორი ორგანიზაციიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. მიზნობრივი გრანტების რაოდენობამ 2018 წელს შეადგინა 17 ერთეული.

მიზნობრივი გრანტების დაფინანსების პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას, სტუდენტების მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

III. საკუთარი სახსრების მოცულობა 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცდა 55 630 918 ლარის ოდენობით, ხოლო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეადგინა 67 379 329 ლარი, ანუ დამტკიცებულზე 11 748 411 ლარით მეტი. საკუთარი სახსრებით შემოსულობები კლასიფიკაციის მიხედვით მოიცავს:

1. მიმდინარე გრანტებს (1.3.3.1.2.1), რომელიც აერთიანებს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებს(1.1) და პროგრამას „მეცნიერების პოპულარიზაცია“ (1.2)
2. კაპიტალურ გრანტებს (1.3.3.1.2.2), რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად;
3. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის დასაფინანსებელ თანხებს(1.4.2.3.2.9);
4. შემოსავალს დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან(1.4.1.1.5);

5. შემოსავალს შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან(1.4.2.3.2.1);

6.სწავლის საფასურს(1.4.2.3.2.9);

7.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობის დასაფინანსებელ თანხებს(1.4.2.3.2.9);

8. შემოსავალს პროექტებიდან, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან(1.4.2.3.2.9);

9. ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“;

10.სხვა შემოსავლებს არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან(1.4.2.3.3)

შემოსულობები გაწერილია ღონისძიებების მიხედვით შესაბამისი სახელწოდების გადასახდელებში:

1.1. სსიპ -შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების დაფინანსება– 2 238 612 ლარი;

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები მოიცავს გამოყენებით, ფუნდამენტურ, მიზნობრივ, ახალგაზრდა მეცნიერთა, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისა და საკონფერენციო გრანტებს. სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსების პროგრამა საკასო ნაშთის ჩათვლით (698 205 ლარი)განისაზღვრა 2 238 612ლარით, რომელიც გადასახდელებში გაიწერა ფონდიდან წარმოდგენილი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად.

ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი გრანტების რაოდენობამ 2018 წელს შეადგინა 50 ერთეული, აქედან გამოყენებითი გრანტის რაოდენობამ შეადგინა 9; ფუნდამენტურმა გრანტმა - 18; მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების გრანტმა-5; ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტმა-12;სადოქტორო გრანტმა-1; უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების გრანტებმა - 5;

პროგრამის შედეგს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, უნივერსიტეტში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა, მათი მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება;

1.2. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 22 ივნისის N597 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის (პროგრამული კოდი-32 05 05) ასიგნების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან 24 ივლისის N 09 1/76190 ხელშეკრულებისა და 2018 წლის 27 სექტემბრის N09-1/76/257 შეთანხმების საფუძველზე, დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 94 200 ლარით, რომელიც ითვალისწინებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სამინისტროს მიერ დაქირავებული ფართის არქიტექტურული ნახაზის მომზადებას, ხოლო 14 აგვისტოს N 09-1/76/126 ხელშეკრულებისა და 2018 წლის 11 სექტემბრის N 09 -1/76/188 შეთანხმების, 25 სექტემბრის N09-1/76/256 შეთანხმების, 04 ოქტომბრის N09-1/76/267 შეთანხმების, 03 დეკემბრის N09-1/76/286 შეთანხმების საფუძველზე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარსადგენად განსაზღვრული ლიტერატურული ნუსხის შესაბამისად ახალი ლიტერატურის შექმნის, არსებული ლიტერატურის გადამუშავების და გამოსაცემად მომზადების (ტექსტისა და დიზაინის შექმნა, თარგმნა, ტექსტის აკრეფა, რედაქტირება, კორექტირება, საარქივო მასალების მოძიება, ფოტო მასალების მოძიება/მომზადება და სხვა) მიზნით, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაფინანსების სახით გამოეყო 1 075 000 ლარი. სულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22 ივნისის N597 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის (პროგრამული კოდი-32 05 05) ასიგნების ფარგლებში სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გამოეყო 1 174 136 ლარი.

აღნიშნული	პროგრამის	მიზანს
-----------	-----------	--------

წარმოადგენს ყველაზე პრესტიჟულ და დიდ საერთაშორისო დონის მიღებაზე ქართული წიგნის სექტორის განვითარება, სადაც 300 000-მდე ვიზიტორს შეუძლია გაეცნოს მსოფლიო მასშტაბით ახალ გამოცემებს და ავტორებს, მიიღოს ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის კულტურასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მსოფლიო დონეზე ცნობადობის ამაღლებას და წარმოჩენას.

2.საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის (პროგრამული კოდი 32 05 02 03) დაფინანსება -6 341 428 ლარი.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებებით „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მისაღები დაფინანსება შეადგენს 6 341 428 ლარს, საიდანაც საკასო ნაშთი 2018 წლის 01 იანვრისათვის შეადგენს 740 206 ლარს:

2.1 2015 წლის 07 აგვისტოს N01/162-32 ხელშეკრულებით სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ, 2015 წლის ასიგნების ფარგლებში ქ. თბილისში სანდრო ეულის ქN5-ში მდებარე შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციისათვის განისაზღვრა 8 145 824 ლარი. 2018 წლის გეგმაში აისახა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხასა და საკასო შემოსავლებს(6 281 418 ლარი) შორის სხვაობა, 2018 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის გათვალისწინებით(14 948ლარი)და შეადგინა 1 864 407 ლარი.

2.2 2015 17 დეკემბრის N01/162-149 ხელშეკრულებით სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ, 2015 წლის ასიგნების ფარგლებში, კახეთის გზატკეცილის N36 მდებარე შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იქნა 1 580 224 ლარი. 2018 წლის გეგმაში აისახა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხასა და საკასო შემოსავლებს(1 450 788 ლარი) შორის სხვაობა და განისაზღვრა 129 436 ლარით.

2.3 2015 წლის 17 დეკემბრის N01/162-147 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისათვის გათვალისწინებული იყო 872 774 ლარი. 2018 წლის გეგმაში აისახა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხასა და საკასო შემოსავლებს(751 527 ლარი) შორის სხვაობა 121 247 ლარი, რომელიც 2018 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთია.

2.4 2015 წლის 17 დეკემბრის N01/162-148 ხელშეკრულებით სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპუსის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 2 492 017 ლარი.

2018 წლის გეგმაში აისახა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხასა და საკასო შემოსავლებს (831 099 ლარი) შორის სხვაობა და განისაზღვრა 1 660 918 ლარით, საიდანაც 414 911 ლარი 2018 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთია.

2.52013 წლის 30 დეკემბრის N01/162-90 ხელშეკრულებით სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ, 2013 წლის ასიგნების ფარგლებში, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების, ლაბორატორიული დანადგარებისა და საოფისე ინვენტარის შესყიდვისათვის გამოყოფილი იქნა 8 456 764 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8 441 253 ლარი, მათ შორის სხვაობა 15 511 ლარი 2018 წლის გეგმაში აისახა ნაშთის სახით;

2.62014 წლის 17 დეკემბრის N01/162-452 ხელშეკრულებით სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ, 2014 წლის ასიგნების ფარგლებში, ქ. თბილისში გ. ფერაძის ქN4-ში არსებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის და ბირთვული ინჟინერიის ცენტრის განთავსების მიზნით, შენობის რეაბილიტაციისა და ინვენტარით აღჭურვისათვის გამოიყო დაფინანსება 3 625 952 ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 452 362 ლარი, მათ შორის სხვაობა 173 590 ლარი ასახულია გეგმაში ნაშთის სახით.

2.72017 წლის 12 აპრილის N32070203-05 ხელშეკრულებით ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილი ქN36-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ იქნა 4 076 320 ლარი, საიდანაც 2 376 320 ლარი 2018 წელს შესასრულებელი სამუშაოებისათვის იყო განსაზღვრული, რომელიც სრულად აისახა 2018 წლის ბიუჯეტის გეგმაში.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული დაფინანსება გადასახდელებში გაიწერა ამავე სახელწოდების პროგრამით, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სა და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პროგრამის დაფინანსების მიზანს შეადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია, სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

3.საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“ (ქვეპროგრამის კოდი 32 04 02 04) დაფინანსების ფარგლებში შეადგინა 3 900 ლარი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო, სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისების (პროგრამული კოდი 32 04 02) ქვეპროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები (პროგრამული კოდი 32 04 02 04) შეადგენს 3 900 ლარს, საიდანაც 900 ლარი ნაშთის სახით აისახა გეგმაში, ხოლო 3 000 ლარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 05 დეკემბრის N32040204/2017/32 ხელშეკრულებითა და 2018 წლის 20 აპრილის N32040204/2018/11 ხელშეკრულებით არის განსაზღვრული სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის სტიპენდიით უზრუნველსაყოფად, რომელიც გადასახდელებში გაიწერა „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამით.

პროგრამა მიზნად ისახავს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების სწავლის საფასურითა და სტიპენდიით უზრუნველყოფას.

4.სწავლის საფასური უნივერსიტეტის საკუთარი სახსრების მთლიანი მოცულობის 75,4 %-ს შეადგენს. სწავლის საფასურის შემოსავლის წყაროა სახელმწიფო სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება, სტუდენტის მიერ, ან სხვა კანონიერი წყაროებიდან გადახდილი გადასახადი. სწავლის საფასურის გეგმიური მაჩვენებელი წლის განმავლობაში დაზუსტდა ფაკულტეტებისა და სასწავლო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, სტუდენტთა კონტინგენტის შესაბამისად მობილობის გათვალისწინებით და დაზუსტებულმა გეგმამ 2018 წლის 01 იანვრის ნაშთის(2 816 360 ლარი)ჩათვლით შეადგინა **50 793 958** ლარი, რომელიც წლის დასაწყისში დამტკიცებულ მაჩვენებელს(47 127 682 ლარი)აღემატება 849 916 ლარით(ნაშთის გაუთვალისწინებლად), რაც გამოწვეულია **სტუდენტების მობილობის გაზრდით.**

5. შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან შედგება საბანკო

ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული პროცენტისგან და განისაზღვრა **246 000 ლარით**;

6.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან შედგება საიჯარო ხელშეკრულებების თანხებით და ნაშთის ჩათვლით(29 000 ლარი)განისაზღვრა **994 386 ლარით**;. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ საინტერესო ინფორმაციას, უნივერსიტეტის მიერ შეტანილი სარჩელების საფუძველზე სასამართლოში მოგებულ საქმეთა შესახებ:

#	მოსარჩელე	მოპასუხე	დავის არსი	კატეგორია	მოსამართლე	მდგომარეობა	დაკისრებული თანხა
1	სტუ	შპს ალგორითმი	შესყ. ხელშ. პირგასამტეხლოს დაკისრება	სამოქ.	ლევან მიქაბერიძე	მოგებული	14074ლარი
2	სტუ	შპს ორნამენტი	შესყიდვის ხელშეკრ. გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრება	სამოქ.	ქ. მამაცაშვილი	მოგებული	40606 ლარი
3	სტუ	შპს პროფილ სერვისი	იჯარის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანება	სამოქ.	ქეთევან მამაცაშვილი	მოგებული	60534.82 ლარი
4	სტუ	შპს ნატალი	იჯარის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანება	სამოქ.	თინათინ ეცადაშვილი	მოგებული	5688.77 ლარი
5	სტუ	შპს ვილა ძარა	იჯარის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანება	სამოქ.	მაკა ჭედია	მოგებული	100066 ლარი
6	სტუ	შპს ჯი ეს კომპანი	იჯარის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანება	სამოქ.	ქეთევან მამაცაშვილი	მოგებული	7279.13 ლარი

7.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობის დასაფინანსებელი თანხები განისაზღვრა 26 000 ლარით, რომელიც ითვალისწინებს

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების (შეტანილია ცვლილება 2016 წლის 29 დეკემბრის №622 დადგენილებით), „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ თანახმად, შესაბამის დაწესებულებებს ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის, სასწავლო მასალის შეძენისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის. კერძოდ, ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების კვარტალურ ოდენობას დამატებული 1000 ლარი.

8. შემოსავალი პროექტებიდან, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან გაინისაზღვრა 2 625 199 ლარით დამოიცავს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპზე მომუშავე ცენტრებიდან მიღებულ შემოსულობებს, რომელიც ნაშთის(211 335 ლარი) ჩათვლით შეადგენს 2 015 335 ლარით, და ასევე, ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციასა (CERN) და სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2016 წლის 27 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების N P119/A3-ის ფარგლებში დაფინანსებას 609 864 ლარით, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გზით კვლევებისა და განვითარების დაჩქარებას ბირთვული ფიზიკისა და ტექნოლოგიების დარგებში.

9. შემოსულობები „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“ მოიცავს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ-„ათასწლეულის გამოწვევის ფონდ საქართველოს“ შორის 2016 წლის 1 სექტემბრის N120 ხელშეკრულების თანახმად

„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“ პროექტის დაფინანსებას და ნაშთის(1 163 499 ლარი)ჩათვლით შეადგენს 2 697 362 ლარს.

10.სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან შეადგენს 238 348 ლარს, საიდანაც 222 661 ლარი სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, ამავე უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა და და სტუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს მთავრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) ფარგლებში 2013 წელს შეიმუშავეს ხუთწლიანი ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი, საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობის მიზნით. მთავრობამ დააარსა სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“, რომ მისი სახელით, როგორც უფლებამოსილმა დანიშნულმა მხარემ აკონტროლოს და მართოს პროგრამის „საქართველო-SDSU“ მსვლელობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში აკრედიტაციისა და ინსტიტუციონალური ხელშეწყობის ინიციატივას მეცნიერების, ტექნოლოგიის, საინჟინრო და მათემატიკის სფეროებისათვის კომპაქტის ფარგლებში, ხოლო 15 687 ლარი – ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან ჩამორიცხული თანხაა და მიზნად ისახავდა მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების (COMET საერთაშორისო თანამშრომლობის ვორკშოპი) საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების თანადაფინანსებას.

სწავლის საფასურიდან (50 793 958 ლარი), დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან (246 000 ლარი), შენობებისა და ნაგებობების იჯარაში, ან მართვაში გადაცემიდან (994 386 ლარი), პროექტებიდან, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან მიღებული შემოსულობები (2 625 199 ლარი), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“ პროექტიდან (2 697 362 ლარი) და სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან (238 348 ლარი) სულ 57 595 253 ლარი, მიმართულია სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო(საფაკულტეტო), ადმინისტრირების, სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიების ფარგლებში სწავლის საფასურიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობებით გაწეული ხარჯების დაფინანსებაზე, რომელიც გაწერილ იქნა 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების მიხედვით:

სასწავლო(საფაკულტეტო), ადმინისტრირების, სამეცნიერო -კვლევითი ღონისძიების ფარგლებში სწავლის საფასურიდან და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსულობებით გაწეული ხარჯები (ლარი)		
სულასიგნება		57 595 253
ხარჯები	2	55 649 898
შრომის ანაზღაურება	21	27 364 568
საქონელი და მომსახურება	22	23 776 941
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	15 384 070
მივლინება	222	605 419
ოფისის ხარჯები	223	4 940 778
წარმომადგენლობითი ხარჯები	224	405 794
კვების ხარჯები	225	0
სამედიცინო ხარჯები	226	5 978
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	70 274
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	88 837
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	2 275 792
პროცენტები	24	91 875
სუბსიდიები	25	0
გრანტები	26	39 000
სოციალური უზრუნველყოფა	27	286 722
სხვა ხარჯები	28	4 090 792
არაფინანსური აქტივების ზრდა	31	1 945 356


2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლები(98 391 022 ლარი) 2016 წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებლებზე 25 875

442ლარით მეტია, ხოლო 2017 წლის მაჩვენებლებზე 21 156 761 ლარით მეტი. ასეთი დიდი სხვაობის არსებობა გამოწვეულია „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“პროექტთან დაკავშირებით, უნიკრედიტ ბანკ ავსტრია-თან (UniCredit Austria AG) დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

საკუთარი სახსრებიდან მიღებული შემოსულობების 2018 წლის მაჩვენებელი 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 2 888 597 ლარით, ხოლო 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2 525 412 ლარით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოყოფილი თანხების მეტობით, რადგან პროექტების უმეტესი ნაწილი გაწერილი იყო 2015-2017 წლებში და მხოლოდ 2017 წლის 12 აპრილის N32070203-05 ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, როგორც 2017 წელს, ასევე 2018 წელს ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილქ. N36-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის დაფინანსება.

საერთაშორისო გრანტების 2018 წლის მაჩვენებელი 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 1 186 385 ლარით, ხოლო 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე-506 371 ლარით.

დასახელება	2016 წელი(ლარი)	2017 წელი(ლარი)	2018 წელი(ლარი)	საერთაშორისო მაჩვენებლებთან შედარებით	საერთაშორისო მაჩვენებლებთან შედარებით
სულ შემოსულობები მათ შორის:	72 515 580	7 234 261	98 391 022	25 875 442	21 156 761
-საკუთარი სახსრები	64 490 732	69 904 741	67 379 329	2 888 597	-2 525 412
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	6 442 604	6 427 290	30 615 834	24 173 230	24 188 544
-საერთაშორისო გრანტები	1 582 244	902 230	395 859	-1 186 385	-506 371




2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შესაბამისად განისაზღვრა 98 391 022ლარით, მათ შორის ხარჯები - 64 893 626 ლარით. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწერილი გადასახდელები ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გრაფიკულ გამოსახულებაზე:

(ლარი)

სულასიგნება	კოდები	98 391 022	%
ხარჯები	2	64 893 626	66,0
შრომის ანაზღაურება	21	31 584 228	32,1
საქონელი და მომსახურება	22	26 946 282	27,4
მათ შორის			
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	17 070 850	17,4
მივლინება	222	1 298 665	1,3
ოფისის ხარჯები	223	5 463 500	5,6
წარმომადგენლობითი ხარჯები	224	472 950	0,5
კვების ხარჯები	225	0	0,0
სამედიცინო ხარჯები	226	6 078	0,01
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	79 974	0,1

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	168 232	0,5
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	2 386 034	2,4
პროცენტები	24	91 875	0,1
სუბსიდიები	25	0	0,00
გრანტები	26	43 936	0,04
სოციალური უზრუნველყოფა	27	286 722	0,3
სხვა ხარჯები	28	5 940 584	6,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	31	13 197 396	13,4
ფინანსური აქტივები	32	20 300 000	20,6



გადასახდელებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის „შრომის ანაზღაურებაზე“ (31,2%), „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე (30,33%), „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლზე (20,6%) და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლზე (13,4%). „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გათვალისწინებულია „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ პროექტთან დაკავშირებით, უნიკრედიტ ბანკ ავსტრია-თან (UniCredit Austria AG) საკრედიტო ხელშეკრულების თანხა 7,000,000 (შვიდი მილიონი) ევრო (20 300 000 ლარი), რომელიც ითვალისწინებს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის გახსნას, რომლის დანიშნულებაცაა, სასწავლო და კვლევითი

პროცესების წარმართვა ინფორმატიკის, კომპიუტერული ინჟინერიის, მართვის ციფრული ტექნოლოგიების, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, სისტემური ინჟინერინგის, პროგრამული ინჟინერიის, იმიტაციური მოდელირების, ბირთვული ინჟინერიის IT-ის სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. ლაბორატორია მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების 32 ლაბორატორიას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ციკლი - „კვლევა-პროექტირება-საინჟინრო გადაწყვეტა-რეალიზება“. აღნიშნული აქტივობები მთლიანად პასუხობს 2018 წელს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს.

2. ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2018 წლის დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა **98 391 022 ლარი**. შესრულებამ შეადგინა **96 083 824 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **97,7%-ს** შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის ფორმირების დროს, გეგმიურ და ფაქტობრივ მაჩვენებელში ასახულია 2017 წლის 04 აპრილის N234800 ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულებით მიღებული სესხის - 7 000 000 ევროს ექვივალენტი ლარში. გეგმაში აგრეთვე ასახულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარდამავალი საკასო შემოსავალი, რომელმაც 2018 წლის ბოლოსთვის შეადგინა **5 752 213 ლარი** და გეგმიურ მაჩვენებელს აღემატება **18 354 ლარით**. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევრო-გრანტის შემოსავალი, რომელიც წლის დასაწყისში ირიცხებოდა ვალუტაში, არ აისახა ხაზინის საკასო ნაშთზე. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში, საკასო შემოსავალმა გარდამავალი საკასო ნაშთის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული საკასო შემოსავლის გათვალისწინებით შეადგინა **70 845 699 ლარი**, რომელიც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს **95,4%-ს**.

2018 წელს გარდამავალი საკასო ნაშთისა და საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე მიღებული საკასო შემოსავალი - **58 709 452 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **94,6%-ია**. 2018 წლის დამტკიცებული ნაერთი ბიუჯეტის პირველადი და დაზუსტებული საბოლოო გეგმიური და საკასო მაჩვენებლები საილუსტრაციოდ გამოსახულია ცხრილ N1-ში, რომელიც რეალურ წარმოდგენას იძლევა კონკრეტული შემოსულობების საკასო შესრულებაზე.

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	შ
სულშემოსულობები გარდამავალინაშთის და სესხისჩათვლით	55,630,918.00	98,391,022.00	96
სესხი ჰიდროტექნიკისა და კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიისათვის (პროგრ. კოდი 32-11)		24,150,000.00	25
შემოსავლები ნაშთისა და საბიუჯეტო დაფინანსების გათვალისწინებით		74,241,022.00	70
საბიუჯეტო დაფინანსება სულ:		6,465,834.00	6,3
მათ შორის:			
„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი-26 მაისს მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამა (პროგრამული კოდი-32 04 05 13)	0	1,595.00	1,5
სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს (კოდი 32-04-02-03-02)	0	1,134,900.00	1,1
სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამა (32 05 04 04 03)	0	5,329,339.00	5,2
მიმდინარე წლის შემოსულობები ნაშთთან ერთად		67,775,188.00	64
ნაშთებიპერიოდისდასაწყისში სულ	172,338.00	5,733,859.00	5,7
მათ შორის:			
SDSU- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“	0	1,163,499.00	1,1

საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“ (პროგრამული კოდი 32 04 03 04)	0	900.00	90
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა	0	740,206.00	74
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	0	698,205.00	69
საერთაშორისო გრანტები	0	74,354.00	74
სწავლის საფასური, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება	0	2,816,360.00	2,8
შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან	143,338.00	211,335.00	21
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან	29,000.00	29,000.00	29
ევროგრანტის თანხა, რომელიც წლის დასაწყისში არ აისახა ნაშთად			18
მიმდინარე წლის შემოსულობები სულ	55,458,580.00	62,041,329.00	58
მათ შორის:			
სწავლის საფასური	47,127,682.00	47,977,598.00	47
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობა	26,000.00	26,000.00	16
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება მ.შ.	2,320,999.00	6,778,358.00	4,6

საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“(პროგრამული კოდი 32 04 03 04)	1,500.00	3,000.00	3,0
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 07 02 03)	2,319,499.00	5,601,222.00	3,4
„მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამა(პროგრამული კოდი-32 05 05)	0	1,174,136.00	1,1
სამეცნიერო - კვლევითი გრანტები მ.შ.	630,985.00	1,861,912.00	1,8
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	482,577.00	1,540,407.00	1,1
საერთაშორისო გრანტები	148,408.00	321,505.00	3
კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	5,352,914.00	5,397,461.00	4,2
1.შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაშიანმართვაში გადაცემიდან	734,552.00	965,386.00	87
მათ შორის:			
1). შენობა-ნაგებობების იჯარა		667,530.00	66
2). კომუნალური გადასახადი		297,856.00	21
2. შემოსავალი დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან	217,000.00	246,000.00	24
3.შემოსავალი სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან, აგრეთვე სხვა შემოსულობები	1,704,000.00	2,413,864.00	2,1
მათ შორის:			

1). ცენტრებიდან შემოსავალი			2,1
2). არაკლასიფიცირებული შემოსავლები (ჯარიმები და საურავები)			16
3). ევროკავშირის გრანტის კონვერტაციით მიღებული შემოსავალი			51
4). წინაწლის გამოყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები			2,9
5). წიგნების რეალიზაცია; დაკარგული წიგნების ღირებულება			1,4
6). თანადაფინანსების თანხარუსეთის ფედერაცია, დუბნა)			15
4. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებაში“, ცერნი.	2,697,362.00	1,533,863.00	71
მათ შორის:			
1). ათასწლეულის გამოწვევის ფონდი		923,999.00	35
2). ცერნი		609,864.00	35
3). სხვა შემოსავალი			62
5. სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდვის აქონლიდან დამომსახურებიდან- SDSU- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი)	0	238,348.00	22
6. შემოსავლის ამედიცინო მომსახურებიდან			29

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, მუხლების მიხედვით გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლების ურთიერთშედარებით დგინდება შემდეგი:

2.1.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსების საერთო თანხა გეგმით გათვალისწინებულია **6 465 834 ლარი**. საკასო შემოსავალმა შეადგინა **6 384 034 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **98,7%-ია**. დაფინანსება მოიცავს 15 ერთეული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის **„სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამას“**, **„სახელმწიფო სტიპენდიას“** და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსებას. წარმოგიდგენთ ზემოთ აღნიშნული დაფინანსების საკასო შემოსავალს:

- **სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამული დაფინანსება** გეგმით გათვალისწინებული იყო **5 329 339 ლარი**. საკასო შემოსავალია **5 248 589 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **98,5%-ია**. არ არის ათვისებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების საბიუჯეტო დაფინანსება - **80 750 ლარის** ოდენობით;

- **სახელმწიფო სტიპენდია** - სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის მიზნით, სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდია გეგმით გათვალისწინებული იყო **1 134 900 ლარი**. შემოსავალი, რომელიც ათვისებულია შეადგენს **1 133 850 ლარს**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **99,91%-ია**. არ არის ათვისებული **1 050 ლარი**;

- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაფინანსება**, გეგმით გათვალისწინებული იყო **1 595 ლარით**, რომელიც დაფინანსდა **100%-ით**.

2.2.გრანტები: შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო მიზნობრივი გრანტები, დამტკიცებულ ბიუჯეტში ჯამურად გათვალისწინებული იყო **1 861 912 ლარი**. საკასო შემოსავალი მიღებულია **1 889 451**, რაც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 101,5%-ს. მათ შორის:

- **საერთაშორისომიზნობრივი გრანტი:** 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო **321 505 ლარი**. საკასო შემოსავალი მიღებულია **319 077 ლარი**, რომელიც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 99,2%-ს. საერთაშორისო გრანტებში წლის დასაწყისისათვის გარდამავალი საკასო ნაშთი შეადგენდა **74 354 ლარს**, რომლის გათვალისწინებით, 2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის მიზნობრივი საერთაშორისო გრანტის საკასო შემოსავალია (74 354ლ. + 319077ლ.) **393 431 ლარი**.

- **შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი** დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებულია **1 540 407 ლარი**. საკასო შემოსავალი მიღებულია **1 570 374 ლარი**, რომელიც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს **101,95%-ს**. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტს, წლის დასაწყისში გარდამავალი საკასო ნაშთი დაუფიქსირდა **698 205 ლარი** და 2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის მისი საკასო შემოსავალია (1 570 374ლ. + 698 205ლ.) **2 268 579 ლარი**.

გრანტების საკასო შესრულებააჭარბებს გეგმიურ მაჩვენებელს, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ტრადიციული საგრანტო ტრანშების ჩარიცხვა ხორციელდება წლის ბოლოს, როცა გეგმაში ცვლილებების შეტანა პრაქტიკულად ვერ ესწრება.

2.3. საკუთარი სახსრები: აღნიშნულ შემოსავალში გაერთიანებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დაფინანსება; ფასიანი სწავლებიდან მიღებული შემოსავალი; შენობებისა და ნაგებობების იჯარის თანხები; საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის სახით დარიცხული პროცენტები; თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ცენტრებიდან შემოსავლები; სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელიდან და მომსახურებიდან; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები.

საკუთარი შემოსავლების შემადგენლობაში ასევე შედის შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები და საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის დასაფინანსებელი თანხები. საკუთარი შემოსავლების მუხლობრივი ანალიზით დგინდება:

2.3.1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსების საერთო საკასო შემოსავალმა შეადგინა **4 657 050 ლარი**, რაც გეგმასთან - **6 778 358 ლართან** მიმართებაში შეადგენს **68,7%-ს**. აღნიშნული სახსრებით დაფინანსებულია:

- **საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ქვეპროგრამა „ცოდნის კარი“-ს** გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა **3 000 ლარით**; საკასო შემოსავალი გეგმასთან მიმართებაში შესრულებულია 100%-ით. აღნიშნულ პროგრამას წლის დასაწყისში გარდამავალი საკასო ნაშთი დაუფიქსირდა **900 ლარი** და 2018 წლის საანგარიშო პერიოდის საკასო შემოსავალია (3 000ლ. + 900ლ.) **3 900 ლარი**;

- **საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა -** პროგრამის დაფინანსების მიზანს შეადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მშენებლობა და რეაბილიტაცია. ასევე, მათი სასწავლო და საკვლევო ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან“ დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, 2018 წელს აღნიშნული პროგრამით გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა **5 601 222 ლარი**. საკასო შემოსავალია **3 480 001 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **62,1%-ია**.

გასულ წლებში დადებული ხელშეკრულებების საკასო დაფინანსებიდან აუთვისებელმა ნაშთმა, 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგინა **740 206 ლარი**, რომლის გათვალისწინებით საკასო შემოსავალი 2018 წლის საანგარიშო პერიოდისთვის განისაზღვრა (3 480 001ლ. + 740 206ლ.) **4 220 207 ლარი**;

- მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, 2018 წლის 24 ივლისის N09-1/76190 ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე დაქირავებული ფართისთვის არქიტექტურული ნახაზის მომზადებისთვის გამოეყო დაფინანსება **94 200 ლარის** ოდენობით. ამავე წლის 14 აგვისტოს ხელშეკრულების (N09-1/76/126) საფუძველზე, ბაზრობაზე წარსადგენი ლიტერატურული ნუსხის მომზადებისათვის, უნივერსიტეტს აგრეთვე გამოეყო **1 075 000 ლარი**. სულ ასიგნების ფარგლებში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის უნივერსიტეტს გამოეყო **1 165 162 ლარი**, რომელიც აისახა 2018 წლის გეგმიურ მაჩვენებელში. საკასო შემოსავალი მიღებულია იმავე **1 174 136 ლარის** ოდენობით, სადაც ათვისებულია **1 174 049 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **99,2%-ია**. არ არის ათვისებული **8 974 ლარი**, საიდანაც **87 ლარი** განათლების სამინისტროს დაუბრუნდა 2018 წლის ნოემბერში, ხოლო **8 887 ლარი** 2019 წლის თებერვალში.

2.3.2. სწავლებიდან მიღებული შემოსავლები:

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოსავლის ძირითადი წყაროა სწავლებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც 2018 წლის დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული იყო **47 977 598 ლარი**. საკასო შემოსავალმა შეადგინა **47 868 151 ლარი**, რაც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 99,8%-ს. სწავლის საფასურის გადახდა ხორციელდება უშუალოდ სტუდენტების მიერ. აგრეთვე, სწავლის საფასურის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის საფასურის საკასო შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა **47 868 151 ლარი**, ხოლო წლის დასაწყისისთვის საკასო ნაშთი დაფიქსირდა **2 816 360 ლარი** და 2018 წლის საანგარიშო პერიოდისთვის სწავლის საფასურის საკასო შემოსავალია (47 868 151ლ. + 2 816 360ლ.) **50 684 511 ლარი**. დაფინანსების წყაროების მიხედვით საკასო შემოსავლის ანალიზით დგინდება შემდეგი:

ა) სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გადახდით მიღებული შემოსავალი შეადგენს **27 328 644 ლარს**, რომელიც სწავლის საფასურის საერთო შემოსავლის (47 868 151ლ.) 57,1%-ია; სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, შემცირდა **209 021 ლარით**. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მიერ გადახდილ სწავლის საფასურში, დამატებით შემენილი კრედიტების ღირებულება შეადგენს **2 075 123 ლარს**;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებული სწავლის საფასურის საერთო ჯამური თანხაა **20 539 507 ლარი**, რომელიც სწავლის საფასურის საერთო შემოსავლის (47 868 151ლ.) 42,9%-ია. 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 778 092 ლარით. წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სწავლის საფასურის დაფინანსებას შემოსავლების სახეების მიხედვით:

- ეროვნული გამოცდებით მოპოვებული საგრანტო დაფინანსება მიღებულია **2 234 000 ლარის ოდენობით**, რომელიც სწავლის საფასურის საერთო შემოსავლის 4,7%-ია (2017 წელთან შედარებით გაზრდილია **575 938 ლარით**);

- სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სამინისტროდან მიღებულია დაფინანსება **1 836 879 ლარის** ოდენობით, რომელიც სწავლის საფასურის საერთო შემოსავლის 3,8%-ია. სოციალური პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა სოციალური დაფინანსება 2017 წელთან შედარებით გაიზარდა **746 267 ლარით**;

- სახელმწიფო პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, მიღებულია **15 247 900 ლარი**, რომლის ხვედრითი წილი საერთო სწავლის საფასურში 31,9%-ია. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სტუდენტთა დაფინანსება 2017 წელთან შედარებით შემცირდა **175 850 ლარით**;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სამინისტროდან მიღებულია დაფინანსება **1 220 728 ლარი**, რომლის ხვედრითი წილი საერთო სწავლის საფასურში 2,6%-ია. შარშანდელ წელთან შედარებით, დაფინანსება შემცირდა **368 262 ლარით**;

უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებლების მუხლობრივი ანალიზით ირკვევა, რომ შემოსავლების წყაროების მიხედვით, ძირითადი საგემო მაჩვენებლების მუხლობრივი შესრულება მერყეობს საშუალოდ 90%-დან - 100%-ის ფარგლებში. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, სწავლის საფასურის გეგმიური მაჩვენებელი შესრულებულია 99,8%-ით. სწავლის საფასურის გეგმიურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა შეადგენს - **109 447 ლარს**.

2018 წლის საანგარიშო პერიოდის სწავლის საფასურის საერთო გეგმიური მაჩვენებლის 99,8% შესრულება შეიძლება ჩაითვალოს დადებით შედეგად. სწავლის საფასურის ამოღების პროცენტი მაღალია, მაგრამ არის გარღვევა 2018 წლის გეგმიურ და საკასო მაჩვენებლებს შორის, რომელიც თანხობრივად შეადგენს **109 447 ლარს**. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მდგომარეობა იყო 2017 წელს, სადაც 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, საუნივერსიტეტო სწავლის საფასურის (გასული წლის) დებიტორული დავალიანება შეადგენდა **3 954 368 ლარს**. 2017 წლის გადაუხდელი სწავლის საფასური ამოღებულია 2018 წელს. ამიტომ, ის აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული 2018 წელს სწავლის საფასურის პროცენტული მაჩვენებლის გათვლის დროს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ამოღების მაჩვენებელი შეადგენს 92,2%-ს, რომელიც რეალურად ასახავს სწავლის საფასურის ამოღების ფაქტიურ მდგომარეობას 2018 წლისთვის. გათვლა იხილეთ ცხრილ N2-ში.

ცხრილი N2

	გადაუხდელი სწავლის საფასური 01.01.2017წ.	2017 წლის გეგმა	სულ მისაღები სწავლის საფასური	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტი
სწავლის საფასური	3 954 368	47 977 598	51 931 966	47 868 151	92,2

სწავლის საფასურის 92,2%-ის ოდენობით ამოღება მნიშვნელოვანი პროგრესია, რაც მიუთითებს სწორი და ოპერატიული ფინანსური მენეჯმენტის გატარებაზე, სტუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან და განსაკუთრებით ფაკულტეტების მენეჯერებთან კოორდინირებულ მოქმედებაზე. მიუხედავად ამისა, ფაკულტეტების თანამშრომლებს მართებთ სწავლის საფასურის მობილიზაციაზე ზომების გამკაცრება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სწავლის საფასურის საუნივერსიტეტო ჯამური დებიტორული დავალიანება, გასული წლების ნაშთის გათვალისწინებით დაფიქსირდა **3 617 971 ლარი**. აღნიშნული სწავლის საფასური არის თანხა, რომელიც უშუალოდ უნდა გადაეხადა სტუდენტს. წარმოგიდგენთ სწავლის საფასურის დავალიანებას ფაკულტეტების მიხედვით ცხრილ N3-ში.

ცხრილი N3

--	--	--	--	--	--

#	ფაკულტეტის დასახელება	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	სულ დავალიანებ
1	სამშენებლო	69,638.00	14,853.00	17,810.00	102,301.00
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	166,357.00	25,296.00	26,650.00	218,303.00
3	სამთო-გეოლოგიური	115,833.00	6,034.00	12,742.00	134,609.00
4	ქიმიური ტექნოლოგიები და მეტალურგია	271,992.00	10,050.00	16,904.00	298,946.00
5	სატრანსპორტო დამანაქანათმშენებლობა	312,544.00	29,057.00	28,158.00	369,759.00
6	არქიტექტურა	57,313.00	34,698.00	24,737.00	116,748.00
7	ბიზნეს-ტექნოლოგიები	173,659.00	42,040.00	57,723.00	273,422.00
8	ინფორმატიკა და მართვის სისტემები	676,987.00	65,764.00	90,825.00	833,576.00
9	დიზაინის სკოლა	9,982.00	560.00	0.00	10,542.00
10	აგრარული	68,760.00	22,517.00	4,910.00	96,187.00
11	საინჟინრო ეკონომიკა	533,908.00	73,125.00	113,039.00	720,072.00
12	სამართლის და საერთაშორისო ურთიერთ.	343,729.00	55,667.00	44,110.00	443,506.00
	სულ:	2,800,702.00	379,661.00	437,608.00	3,617,971.00

2018 წლის საანგარიშო პერიოდში შემოსავლების ანალიზით დგინდება, რომ ფაკულტეტების გარკვეულმა ნაწილმა ვერ უზრუნველყო სწავლის საფასურის ამოღება და აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ გაწეულმა ხარჯმა გადააჭარბა შემოსავალს და დაფიქსირდა ზარალი. კერძოდ, 2018 წელს ზარალი დაუფიქსირდათ:

1. სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტს - **277 101 ლარი**;
2. ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტს - **99 006 ლარი**;
3. დიზაინის სკოლას - **266 940 ლარი**;
4. საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების ფაკულტეტს - **910 327 ლარი**;

ფაკულტეტების მიერ შემოსავალზე ხარჯების გადამეტება - **1 553 374 ლარი** დაიფარა სხვა ფაკულტეტების შემოსავლებით და საბოლოოდ 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, უნივერსიტეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე დაფიქსირდა ფულადი ნაშთი - **2 465 221 ლარი**.

აღნიშნულის შესაბამისად, სწავლის საფასურის საკასო ამოღების მაჩვენებელი შეადგენს 92,2%-ს. ამოღების 8%-იანი გარღვევა გამოწვეულია არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით. კერძოდ:

1. 344 სტუდენტი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ანდა ფაკულტეტის გადაწყვეტილებებით ნაწილობრივ ან სრულად განთავისუფლდენ სწავლის საფასურის გადახდისაგან, რაც ჯამში შეადგენს 168 687 ლარს;

2. არსებული სოციალური პირობების გათვალისწინებით, 2018 წელს ფაკულტეტების დეკანებისა და მენეჯერების შუამდგომლობით, რიგ შემთხვევებში აკადემიური საბჭოს დადგენილებებით, რიგ რაოდენობა სტუდენტებს გადაუვადდათ სწავლის საფასურის სრულად დაფარვის პერიოდი;

3. 2018 წელს სტუდენტის სტატუსი, 2 და მეტი სემესტრის სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, 4320 სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი (აქვე აღვნიშნავ, რომ ამ კატეგორიის სტუდენტებს არაერთხელ გადაუვადდათ სწავლის საფასურის გადახდის ვადა, მათივე განცხადებების საფუძველზე, სადაც უმრავლესობას თავადვე ჰქონდათ განსაზღვრული მათთვის სასურველი გადახდის გრაფიკი). ამასთან საანგარიშო პერიოდში 1636 სტუდენტს აღუდგა სტატუსი. მათ შორის სხვაობა შეადგენს 2684 სტუდენტს.

2.3.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლების ხელშეკრულების პროგრამის ფარგლებში, გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 26 000 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 16 626 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 64%-ია.

2.4. კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები (გარდა სწავლის საფასურისა):

კანონმდებლობით ნებადართული (გარდა სწავლის საფასურისა) სხვა ეკონომიკური შემოსავლები დამტკიცებული გეგმით 2018 წელს განსაზღვრული იყო 5 397 461 ლარი. ფაქტობრივმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 4 278 174 ლარი, რომელიც გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 79,3%-ს. კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან მოიცავს:

2.4.1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შენობის იჯარის შემოსავალი, დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია 667 530 ლარი. საკასო შემოსავალმა შეადგინა 666 387 ლარი, რაც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 99,8%-ს. გაიჯარებული ობიექტებიდან მისაღები კომერციული გადასახადი გეგმით გათვალისწინებულია 297 856 ლარი. საკასო შემოსავალმა შეადგინა 210 030 ლარი, რაც გეგმის 70,5%-ია;

2.4.2. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხაზე, საპროცენტო შემოსავალი (დეპოზიტი) გეგმით დამტკიცებული იყო **246 000 ლარი**; ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა **245 842 ლარი**, რაც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს **99,9%-ს**;

2.4.3. შემოსავლები სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან - 2018 წელს გეგმაში გათვალისწინებული იყო **2 413 864 ლარი**. საკასო შემოსავალმა შეადგია **2 192 413 ლარი**, რაც გეგმიური შემოსავლის **90,8%-ია**. 2018 წლის საკასო შემოსავალი, 2017 წლის აუთვისებული გარდამავალი საკასო ნაშთის - **211 335 ლარის** გათვალისწინებით შეადგენს (2 192 413ლ. + 211 335ლ.) **2 403 748 ლარს**. უშუალოდ 2018 წელს მიღებულისაკასო შემოსავალი მოიცავს თვითდაფინანსების ცენტრების შემოსავალს - **2 104 362 ლარს**; არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს (ჯარიმები და საურავები) - **16 452 ლარს**; ევროკავშირის გრანტის ვალუტის კონვერტაციით მიღებულ შემოსავალს - **51 564 ლარს**; გამოყენებულ და დაბრუნებულ საბიუჯეტო სახსრებს - **2 900 ლარს**; რეალიზებული წიგნებიდან შემოსავალს და სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან გატანილი და დაკარგული წიგნების ღირებულებას - **1 448 ლარს**; რუსეთის ფედერაციიდან (დუბნა) მიღებული თვითდაფინანსების თანხას - **15687 ლარს**;

2.4.4. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“-სა და „ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის“ (CERN) ერთობლივი გეგმიური მაჩვენებელი 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, წინა წლის გარდამავალი საკასო ნაშთის - **1 163 494 ლარის** გათვალისწინებით განისაზღვრა (1 533 863ლ.+1 163 499ლ.) **2 697 362 ლარი**. საკასო შემოსავალმა წინა წლის გარდამავალი საკასო ნაშთის ჩათვლით შეადგინა (710 754ლ.+1 163 449ლ.) **1 874 203 ლარი**, რაც საგეგმო მაჩვენებლის **69,5%-ია**.

აღნიშნული პროექტიდან „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“-ს გეგმიური მაჩვენებელი, წინა წლის გარდამავალი საკასო ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს (923 999ლ.+1 163 499ლ.) **2 087 498 ლარს**, ხოლო საკასო შემოსავალი გარდამავალი საკასო ნაშთის გათვალისწინებით განისაზღვრა (350 335ლ. + 1 163 499ლ.) **1 513 834 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **72,5%-ია**.

„ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის“ (CERN) გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა **609 864 ლარი**. საკასო შემოსავალი მიღებულია **359 799 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **59%-ია**.

2.4.5. სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან მისაღები შემოსავალი განკუთვნილია იმ პროფესორ-მასწავლებლების ხელფასისთვის, რომლებმაც სალექციო კურსი ჩაუტარეს სტუდენტებს, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და „სან-დიეგოს სახელმწიფო კვლევით ფონდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მომსახურების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა **238 348 ლარი**, ხოლო საკასო შემოსავალი **223 315 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის **93,7%-ია**:

2.4.6. „სესხი ჰიდროტექნიკისა და კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიისათვის“
(პროგრამული კოდი 32-11):

2017 წლის 04 აპრილს გაფორმებულია ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულება N234800, სადაც „მსესხებელი“ არის სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი წარმომადგენელი - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო „სესხის გამცემი“-ა „უნიკრედიტ ბანკ ავსტრია“, რომლის ოფისი განთავსებულია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. სესხის მიზნობრიობაა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული „ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს ბაზაზე, ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის დაფინანსება. აღნიშნული მიზნისთვის „უნიკრედიტ ბანკ ავსტრია“-მ საქართველოს გამოუყო სესხი 7 000 000 ევროს ოდენობით, რომელიც 2018 წლის გეგმაში აისახა შესაბამისი კურსით. აგრეთვე, გეგმაში ასახულის საქართველოს განათლების სამინისტროდან მიღებული დაფინანსება - 3 850 000 ლარი, რომლითაც საბუჯოზე გადახდილია დღგ-ს გადასახადი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გეგმიურ მაჩვენებელში აისახა 24 150 000 ლარი. 2018 წლის დეკემბერში, ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლაბორატორია მიიღო უნივერსიტეტმა და მისმა ღირებულებამ (პირობითად საკასო შემოსავალი), მიღების მომენტში არსებული კურსის მიხედვით შეადგინა **25 200 843 ლარი**, რომელიც 1 056 843 ლარით აღემატება საგეგმო მაჩვენებელს.

2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკასო შემოსულობამ, გასული წლის საკასო შესრულების და სესხის გათვალისწინებით შეადგინა **96 077 824 ლარი**. უნდა აღინიშნოს, რომ საკასო შესრულებაში ჩართულია სესხით შეძენილი ლაბორატორიის ღირებულება - 25 200 843 ლარის ოდენობით, რომელსაც არ გაუვლია უნივერსიტეტის სახელმწიფო სახაზინო ანგარიში. ამიტომ, მისი საკასო შემოსავლად

აღიარება არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. აღნიშნული საკითხი დაწვრილებით იქნება განხილული ხარჯვითი ნაწილის ანალიზში. სესხით შეძენილი ლაბორატორიის ღირებულების გარეშე, 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა **74 241 022 ლარი**. საკასო შესრულება, გასული წლის საკასო ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს **70 845 699 ლარს**, რაც საგეგმო მავენებლის **95,4%-ია**. გეგმიური მაჩვენებლის მაღალი საპროცენტო განაკვეთით შესრულება შეიძლება ჩაითვალოს დადებით შედეგად, რაც მიუთითებს სწორი და ოპერატიული ფინანსური მენეჯმენტის გატარებაზე სტუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან და განსაკუთრებით ფაკულტეტების მენეჯერებთან კოორდინირებულ მოქმედებაზე. აგრეთვე, პროგრესი მიღწეულია საბანკო ანგარიშზე ფულადი სახსრების ოპტიმალური მართვით, იჯარის ხელშეკრულებათა პირობების შესრულებაზე მკაცრი მონიტორინგით, უნივერსიტეტის თვითდაფინანსებით მომუშავე ცენტრების ეფექტური მუშაობით და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულზე ადმინისტრაციის მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობით, ასევე, სამეურნეო და კომუნალური რესურსების ოპტიმალური მართვით.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სამეცნიერო კვლევების

ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსების

ხარჯვითი ნაწილის ანალიზი:

უნივერსიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში პროგრამული დაფინანსება გათვალისწინებულია **6 465 834 ლარი**, რომლის ხვედრითი წილი ნაერთ ბიუჯეტში (98 391 022 ლ.) შეადგენს 6,6%-ს. მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო - სამეცნიერო კვლევებისათვის (პროგრამული კოდი 32 04 02 05 02 03) მიღებულია საკასო შემოსავალი **5 248 589 ლარი**; სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიები (პროგრამული კოდი 32 04 03 03) **1 133 850 ლარი**; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში - **1 595 ლარი**.

3.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობისათვის პროგრამული დაფინანსება, გეგმით გათვალისწინებული იყო 5 329 339 ლარი, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, სახელმწიფო ხაზინიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5 248 589 ლარი, რაც გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 98,5%-ს. 2018 წელს სახელმწიფო ასიგნების ხარჯი, ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილ N4-ში.

ცხრილი N4

დასახელება	2017 წლის ბიუჯეტი			შესრულების %
	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა (+;-)	
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5 329 339	5 248 589,10	80 749,90	98,48
ხარჯები	4 945 760	4 869 022,23	76 737,77	98,45
შრომის ანაზღაურება	4 207 060	4 202 928,92	4 131,08	99,90
საქონელი და მომსახურება	726 075	655 448,70	70 626,30	90,27
მ.შ. შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება	102 400	93 994,27	8 405,73	91,79
სხვა ხარჯები	12 625	10 644,61	1 980,39	84,31
არაფინანსური აქტივების ზრდა	383 579	379 566,87	4 012,13	98,95

წარმოდგენილი ცხრილიდან დგინდება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხებით დაფინანსებულია:

- შრომის ანაზღაურება (კოდი 21) – 4 202 929 ლარი;
- საქონელი და მომსახურება (კოდი 22) – 655 449 ლარი, მათ შორის შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურებაზე ხარჯმა შეადგინა 93 994 ლარი;
- სხვა ხარჯები (კოდი 28) – 10 645 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კოდი 31) – 379 567 ლარი.

სახელმწიფო ხაზინაში, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯი ჩაშლილია პერიოდების მიხედვით, კონკრეტული ხარჯების გათვალისწინებით და უნივერსიტეტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ათვისება ხდება ვალდებულებების წარდგენის გზით. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯების ანალიზით დგინდება, რომ აღებული ვალდებულება, რომელიც ათვისებულია 2018 წელს, შეადგენს 5 248 589 ლარს. სახელმწიფო ასიგნებიდან არ არის ათვისებული (გეგმა: 5 329 339ლ. – 5 248 589ლ.) 80 750 ლარი, რომელიც

გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 1,5%-ს. გასულ წელთან მიმართებაშისახელმწიფო ასიგნების ათვისება სახელმწიფო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ მკვეთრად გაუმჯობესდა. გასულ წელს ათვისებული იყო **267 597 ლარი**, თითქმის 3-ჯერ მეტი. მუხლების მიხედვით ხარჯვითი ნაწილის ანალიზით დგინდება:

-**შრომის ანაზღაურების (კოდი 21)** მუხლით გაწეულია ხარჯი **4 202 929 ლარის ოდენობით**, რომელიც შრომის ანაზღაურების გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 99,9%-ს, ხოლო საერთო საკასო ხარჯთან მიმართებაში (5 248 589ლ.) 80%-ია. ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული ასიგნება თითქმის მთლიანად ათვისებულია, რომელიც წარმოადგენს საგეგმო მაჩვენებლის ძირითად ბირთვს. ეკონომია შრომის ანაზღაურების მუხლში უმნიშვნელოა და შეადგენს **4 131 ლარს**;

-**საქონელი და მომსახურეობის (კოდი 22)** მუხლით გაწეულია საკასო ხარჯი **655 449 ლარის ოდენობით**, რომელიც „საქონელისა და მომსახურეობის“ გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 90,3%-ს. სახელმწიფო ასიგნებიდან „საქონელისა და მომსახურეობის“ მუხლში არ არის ათვისებული **70 626 ლარი**, რომელიც ამავე მუხლის გეგმიური მაჩვენებლის 10%-ია. გასულ წელთან მიმართებაში „საქონელისა და მომსახურეობის“ მუხლში, სახსრების ათვისების თვალსაზრისით საგრძნობი პროგრესია, მაგრამ ინსტიტუტების დირექტორთა მხრიდან მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა სახსრები მაქსიმალურად იქნეს ათვისებული. უნდა აღინიშნოს, რომ „საქონელი და მომსახურეობის“ მუხლში გათვალისწინებული არის შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება, რომელიც ათვისებულია **93 994 ლარის ოდენობით**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,8%-ია. შტატგარეშე შრომის ანაზღაურების მუხლიდან არ არის ათვისებული **8 406 ლარი**.

-**სხვა ხარჯების (კოდი 28)** მუხლით ათვისებულია **10 645 ლარი**, რომელიც ამავე მუხლის გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 84,3%-ს. გასულ წელთან შედარებით, აღნიშნული მუხლით ფიქსირდება შესრულების მაღალი საპროცენტო მაჩვენებელი. გასული წლის ათვისების მაჩვენებელი შეადგენს 38,4%-ს.

-**არაფინანსური აქტივების ზრდის (კოდი 31)** მუხლით გაწეულია ხარჯი - **379 567 ლარის ოდენობით**, რომელიც „არაფინანსური აქტივების ზრდის“ გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 99%-ს. „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში არ არის ათვისებული **4 012 ლარი**, რომელიც მთლიანად ასათვისებელი თანხის 1%-ია. 2017 წელს ათვისებული თანხა 10-ჯერ მეტი იყო და შეადგენდა **41 660 ლარს**.

ზემოთ მოყვანილი გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარებით დგინდება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის ფარგლებში მიღებული დაფინანსება საერთო ჯამში ათვისებულია 98,5%-ით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელობასა და უნივერსიტეტის ფინანსურ მენეჯმენტს შორის მჭიდრო კოორდინირებული, შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობაა. კანონის მოთხოვნათა დაცვით და დროულად განხორციელებულია საგეგმო მაჩვენებლების მუხლობრივი და შიდამუხლობრივი ცვლილებები, რამაც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მისცა საშუალება დაგეგმილი დაფინანსება გამოეყენებინა მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად.

3.2. სტუდენტთა სახელმწიფო სტიპენდია (პროგრამული კოდი 32 04 02 03 03)

სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსება ითვალისწინებს სტუდენტთა სახელმწიფო სტიპენდიას - 1 139 900 ლარს. ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით, მაღალი სარეიტინგო მაჩვენებლების მქონე, ნიჭიერ სტუდენტთათვის აღებული იქნა ვალდებულება და მოთხოვნა დაფინანსების შესახებ 1 133 850 ლარის ფარგლებში, რომელიც მთლიანად არის ათვისებული და სტუდენტებს ჩაერიცხათპირად ანგარიშზე. სახელმწიფო სტიპენდიის დაფინანსებიდან არ არის ათვისებული 1 050 ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული სტიპენდიის მიღებაზე უარი განაცხადეს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე სტუდენტებმა.

3.3. „უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის“ ფარგლებში, საგეგმო მაჩვენებელი შეადგენდა 1 595 ლარს, რომელიც ითვალისწინებდა ქ. ამბროლაურში ქართული ენისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტის, ლექციის და „ტექნიკური პროგრესი 100 წელი“-ს ღონისძიებების გაშუქების დაფინანსებას. დაფინანსების ფარგლებში, 1 595 ლარი ჩაირიცხა სრულად და ხარჯი გაწეულია ნიზნობრივად.

4. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება

2018 წლის ბიუჯეტში პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, გემიურმა მაჩვენებელმა შეადგინა **6 778 358 ლარი**. საკასო შემოსავალი მიღებულია **4 657 050 ლარი**, რაც გემიური მაჩვენებლის 68,7%-ია. აღნიშნული პროგრამების მიხედვით 2017 წლიდან აუთვისებელი საკასო ნაშთი შეადგენდა (900ლ. + 740 206ლ.) **741 106 ლარს**, რომლის გათვალისწინებით 2018 წელს საკასო ნაშთი დაფიქსირდა (4 657 050ლ. + 741 106ლ.) **5 398 156 ლარი**, რომლითაც დაფინანსდა 3 პროექტი. კერძოდ:

4.1. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამა „ცოდნის კარი“(პროგრამული კოდი 32 04 03 04)

სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 25 მარტს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გათვალისწინებულია სახელმწიფო-სასწავლო, სამაგისტრო გრანტები უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის. საქართველოს განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 05 დეკემბრის და 2018 წლის 20 აპრილის ხელშეკრულებებით განისაზღვრა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების სწავლის საფასურითა და სტიპენდიით უზრუნველყოფა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2018 წელს სტუდენტთა დასაფინანსებლად გამოიყო საკასო შემოსავალი - **3 000 ლარი**. 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, 2017 წლის აუთვისებელი საკასო ნაშთის - **900 ლარის** გათვალისწინებით, 2018 წლის საკასო შემოსავალია **3 900 ლარი**, რომელიც სტიპენდიის სახით სრულად არის გაცემული სომხეთის სამაგისტრო სწავლების სტუდენტებზე.

4.2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 07 02 03)

პროგრამის დაფინანსების მიზანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის სააგენტოდან მიღებულია დაფინანსება **3 480 001 ლარი**. 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით აისახა 2017 წლის აუთვისებელი საკასო

დაფინანსება **740 206 ლარი**, რომლის გათვალისწინებით 2018 წლის საკასო შემოსავალია (3 480001ლ. + 740 206ლ.) **4 220 207ლარი**.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, კონტრაქტორების მიერ შესრულებულია შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები - **4 089 607 ლარის** ოდენობით. 2018 წლის საკასო შემოსულობების გათვალისწინებით, 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ინფრასტრუქტურის სააგენტოს დაფინანსების აუთვისებელი საკასო ნაშთია (4 220 207ლ. – 4 089 607ლ.) **130 600 ლარი**, რომელიც აისახა 2019 წლის გეგმაში.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მიზნობრივი დაფინანსების ხარჯვითი ნაწილის ანალიზს 2018 წლისთვის, წარმოგიდგენთ ცხრილ N5-ში, რომლის საფუძველზე დგინდება აუთვისებელი თანხები ხელშეკრულებების მიხედვით:

ცხრილი N5

ინფრასტრუქტურასთან გაფორმებული ხელშეკრულებები	სარეაბილიტაციო ობიექტები	ნაშთი 01.01.2018წ -თვის	2017 წლის შემოსავალი	2017 წლის ხარჯი	ნაშთი 01.01.2019წ
30.12.2013წ. ხელშ. N01/162/89	აგრარული ფაკულტე ტის შენობის რეაბილი ტაცია	15510,19			15 510,19
17.12.2014წ. ხელშ. N01/162-452	მათემატიკის ინსტიტ უტის შენობის რეაბილი ტაცია	64944,20			64 944,20
შეთანხმება N01/162- 252-1	მათემატიკის ინსტიტ უტისთვის	704			704
ხელშ. N32070203-02 23.01.2017წ.	მათემატიკის ინსტიტ უტისთვის	107 942,15		58 500	49 442,15
07.08.2015წ. ხელშ. N01/162-32	კიბერნეტიკის ინსტიტ უტის შენობის რეაბილი ტაცია	14 947,63		14 947,63	
17.12.2015წ. ხელშ. N01/162-147	სტუ- სლაბორატორიულია დჭურვილობა	121 247,15		121 247,15	
17.12.2015წ. ხელშ. N01/162-148	სტუ-სმე-9 კორპუსის სარეაბილი ტაციო სამუშაოები	414 912,11	1 195 017,74	1 609 929,85	

17.12.2015წ. ხელშ. N01/162-149	კახეთისგზატკ. N36 შენობა- ნაგებობისრეაბილიტაცია				
12.04.2017წ. ხელშ. N32070203-05	კახეთისგზატკ. N36 შენობისრეაბილიტაცია (ათასწლეულისპროექტი სიულისგანვითარების)		2 284 982,26	2 284 982,26	
ჯამი:		740 207,43	3 480 000	4 089 606,89	130 600,54

წარმოდგენილ ცხრილში, ხელშეკრულებების მიხედვით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამული დაფინანსების ხარჯვითი ნაწილის ანალიზით დგინდება შემდეგი:

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, 2017 წლიდან გარდამავალი საკასო ნაშთი დაფიქსირდა **740 207 ლარი**. აღნიშნული საკასო ნაშთიდან 2018 წელს არ არის ათვისებული:

➤ 2013 წლის 30 დეკემბრის N01/162/89 ხელშეკრულებით, აგრარული ფაკულტეტის შენობის რეაბილიტაციიდან დარჩენილი ნაშთი - **15 510 ლარი**;

➤ 2014 წლის 17 დეკემბრის N01/162/452 ხელშეკრულებით, მათემატიკის შენობის რეაბილიტაციიდან დარჩენილი ნაშთი - **64 944 ლარი**. აგრეთვე, მათემატიკის ინსტიტუტისთვის N01/162-252-1 შეთანხმების საფუძველზე, ტექნიკისა და ინვენტარის შეძენისთვის გამოყოფილი თანხიდან, 2018 წლის 01 იანვრისთვის დაფიქსირებული ნაშთი **704 ლარი**.

ზემოთ მოყვანილი 3 ხელშეკრულებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები 2-3 წელია დამთავრებული, ამიტომ უნივერსიტეტმა აღნიშნული ნაშთების გამოყენებაზე წერილობით მიმართოს ინფრასტრუქტურის სააგენტოს, ან გამოუყენებელი ნაშთები უნდა დაუბრუნდეს ინფრასტრუქტურის სააგენტოს.

➤ 2017 წლის 23 იანვრის N32070203-02 ხელშეკრულებით, მათემატიკის ინსტიტუტის შენობის რეაბილიტაციის დაფინანსებიდან ათვისებულმა ნაშთმა შეადგინა **107 942 ლარი**. აღნიშნული ნაშთიდან, ინფრასტრუქტურის სააგენტოს ნებართვით ინსტიტუტისთვის

შეძენილია ავეჯი - **58 500 ლარის** ოდენობით და 2019 წლის 01 იანვრისთვის გარდამავალმა საკასო ნაშთმა შეადგინა **49 442 ლარი**;

➤ 2015 წლის 07 აგვისტოს „საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ N01-162-32 ხელშეკრულების საფუძველზე დაფინანსდა სანდრო ეულის ქ. N1-ში მდებარე კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2017 წელს განხორციელა ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ქრიათივ იმფრემენს კავკასუს“-მა, რომელსაც 2017 წელს წარმოდგენილი ფორმა N2-ით შესრულებული სამუშაოს ნაწილი - **14 947 ლარი**, დადგენილი ხარვეზების გამო არ ჩაერიცხა. 2018 წელს, ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, **14 947 ლარი** ჩაერიცხა კონტრაქტორ ორგანიზაციას;

➤ 2015 წლის 17 დეკემბრის „საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ N01/162-147 ხელშეკრულებით, ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით, უნივერსიტეტს გამოეყო **872 774 ლარი**. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, სტუ-ს კვანტური ფიზიკის ინსტიტუტისთვის 2017 წელს განხორციელდა ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვა **751 527 ლარის** ოდენობით და 2018 წლის გარდამავალმა აუთვისებელმა ნაშთმა შეადგინა **121 247 ლარი**, რომელიც სრულად იქნა გამოყენებული მე-9 კორპუსის ლაბორატორიული აღჭურვილობის იმპორტისას საბაჟოზე დღგ-ს გადასახადის გადახდისთვის;

➤ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-სთან 2015 წლის 17 დეკემბერს გაფორმებული N01/162-148 ხელშეკრულებით, უნივერსიტეტს გამოეყო **2 492 017 ლარი**, მე-9 სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით. აღნიშნული სახელშეკრულებო დაფინანსებიდან, 2015 წელს მიღებულია დაფინანსება - **1 246 010 ლარი**, რომელიც ჩაირიცხა 2015 წლის 21 დეკემბერს, რაც 2016 წელს არ არის ათვისებული და აისახა 2017 წლის გეგმაში.

2017 წლის 28 ივლისს სსიპ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (N258-2017) გააფორმა შპს „სამშენებლო კომპანია N1“-თან. ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-9 სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებად განსაზღვრულია **2 459 575 ლარი**.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, სტუ-ს მე-9 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებამ, 2017 წელს შეადგინა **831 099 ლარი**, რომელიც ჩაერიცხა შპს „სამშენებლო კომპანია N1“-ს და 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით საკასო ნაშთმა შეადგინა (1 246 010ლ. – 831 098,82ლ.) **414 911 ლარი**. 2018 წელს, მე-9 კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად დამატებით ჩაგვერიცხა **1 195 018 ლარი** და გარდამავალ საკასო ნაშთთან ერთად 2018 წლის საკასო შემოსავალმა შეადგინა **1 609 929,85 ლარი**, რომელიც კონტრაქტორს, შპს „სამშენებლო კომპანია N1“-ს სრულად ჩაერიცხა 2018 წელს ეტაპობრივი შესრულებებით;

➤ 2017 წლის 12 აპრილს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (N32070203-05) საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან - შპს „სამშენებლო კომპანია N1“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილ N36-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა **4 019 499 ლარი**.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ გამოყოფილი დაფინანსების მიზანია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს“ პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ტექნიკური გადამზადების ცენტრის შექმნა.

პირველი ეტაპის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ინფრასტრუქტურის სააგენტომ გამოყო **1 700 000 ლარი**. ტენდერში გამარჯვებულმა შპს „სამშენებლო კომპანია N1“-მა, 2017 წელს შეასრულა 1 700 000 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღნიშნული თანხა მთლიანად ჩაერიცხა.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში შპს „სამშენებლო კომპანია N1“-მა შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეასრულა **2 284 982 ლარის** ოდენობით. შესრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივად იყო წარმოდგენილი ფორმა N2 და ინფრასტრუქტურიდან მიღებული საკასო შემოსავალი - 2 284 982 ლარი ეტაპობრივად სრულად არის ჩარიცხული სამშენებლო კომპანიაზე.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში საკასო შემოსავალი, რომელიც გარდამავალი ნაშთის სახით აისახა 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, შეადგინა 740 207ლარი. 2018 წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან მიღებულია დაფინანსება 3 480 001 ლარი და 2018 წლის საკასო შემოსავალია (740 207ლ. + 3 480 001ლ.) 4 220 208ლარი. 2018 წლის საანგარიშო პერიოდში საკასო ნაშთიდან ათვისებულია 4 089 607 ლარი და 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთად დაფიქსირდა (4 220 208ლ. – 4 089 607ლ.) 130 601 ლარი.

4.3. მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 05 05)

„მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის ასიგნების ფარგლებში, 2018 წლის 24 ივლისის (N09-1/76190) ხელშეკრულებისა და ამავე წლის 27 სექტემბრის (N09-1/76/257) შეთანხმების საფუძველზე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე სამინისტროს მიერ დაქირავებული ფართის არქიტექტორული ნახაზის მომზადებაზე, უნივერსიტეტს ასიგნების ფარგლებში გამოეყო 94 200 ლარი, რომელიც უნივერსიტეტს ჩაერიცხა სრულად.

2018 წლის 14 აგვისტოს N09-1/76/126 ხელშეკრულების და ამავე წლის 11 და 25 სექტემბრის შეთანხმების, აგრეთვე 04 ოქტომბრის და 03 დეკემბრის შეთანხმებების საფუძველზე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარსადგენად, ახალი ლიტერატურის შექმნის, არსებული ლიტერატურის გადამუშავების და გამოსაცემად მომზადების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ასიგნების ფარგლებში გამოეყო 1 079 936 ლარი, რომელიც უნივერსიტეტს ჩაერიცხა სრულად. აღნიშნული ხელშეკრულებით და შეთანხმებით არსებული ლიტერატურის გადამუშავება და გამოსაცემად მომზადებაში იგულისხმებოდა ტექსტებისა და დიზაინის შექმნა, ტექსტების თარგმნა და აკრეფა, რედაქტირება-კორექტირება, საარქივო და ფოტო-მასალების მოძიება და სხვა პროცედურების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობდა ყველაზე პრესტიჟულ და დიდ საერთაშორისო ღონისძიებაზე ქართული წიგნის სექტორის მაღალ დონეზე წარდგენას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 22 ივნისის N597 ბრძანებით დამტკიცებული „მეცნიერების პოპულარიზაციის“ ფარგლებში, სამინისტროს უნივერსიტეტს სულ ჩაურიცხა (94 200ლ. + 1 079 936ლ.) 1 174 136 ლარი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით მოწვეული იქნენ მაღალი დონის ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რომელთაც შესასრულებელი სამუშაოსა და ნომენკლატურის მიხედვით გაუფორმდათ ხელშეკრულებები და გამოიცა ბრძანებები. შესრულებულ სამუშაოზე და მომსახურებაზე შედგა მიღება-ჩაბარების აქტი ორივე მხარის ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენდა სახელფასო ანგარიშსწორებისთვის ძირითად დოკუმენტს. მივლინებებზე გამოცემულია ბრძანებები და თითოეულ მივლინებაზე უნივერსიტეტის ბუღალტერიაში წარმოდგენილია მივლინების ანგარიში, მოქმედი ინსტრუქციის დაცვით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ორგანიზებასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ორი ხელშეკრულება. 2018 წლის 24 ივლისის N09-1/76190 ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა არქიტექტორული ნახაზის მომზადებას, უნივერსიტეტს ჩაერიცხა 94 200 ლარი. აღნიშნული თანხიდან, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ხელფასის სახით გაიცა 71 250 ლარი და მივლინების ხარჯმა შეადგინა 22 862,84 ლარი, სულ ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯმა შეადგინა 94 112,84 ლარი, არ არის ათვისებული და ნაშთის სახით დაფიქსირდა (94 200ლ. – 94 112,84ლ.) 87,16 ლარი, რომელიც 2018 წლის 31 ნოემბერს დაუბრუნდა სამინისტროს.

2018 წლის 14 აგვისტოს N09-1/76/126 ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ლიტერატურის შექმნას და გამოსაცემად მომზადებას, აგრეთვე, ბაზრობის პავილიონში სტენდის ნახაზის მომზადებას და სხვა სამუშაოებს, სამინისტროდან უნივერსიტეტს ჩაერიცხა 1 079 936 ლარი. აღნიშნული თანხიდან ხელფასის სახით გაიცა 907 798 ლარი, მივლინებაზე - 158 320,03 ლარი და წიგნის ბაზრობაზე შესასვლელი ბილეთების შეძენაზე გაწეულია ხარჯი - 4 930,57 ლარის ოდენობით. სულ ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯმა შეადგინა - 1 071 048,88 ლარი და ათვისებული თანხა ნაშთის სახით 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დაფიქსირდა 8 887,12 ლარი, რომელიც 2019 წლის თებერვალში დაუბრუნდა სამინისტროს.

ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების მოთხოვნათა დაცვით, სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის, 2019 წლის 11 მარტს გაფორმდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების ორი აქტი (N09-1/76/126; N09-1/76/126), სადაც ორივე მხარის უფლებამოსილმა პირებმა ხელმოწერით დაადასტურეს, რომ შესრულდა ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებები და აქტივობები, რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტმა ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება შეასრულა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

5. საგრანტო დაფინანსება

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები

ეროვნული სამეცნიერო კვლევითი გრანტების რაოდენობამ 2018 წელს შეადგინა 50 ერთეული. მათ შორის, 2018 წელს მოპოვებულია 13 გრანტი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2018 წელს საგრანტო პროექტების რაოდენობა იყო 50 ერთეული. მათ შორის ფუნდამენტური გრანტების რაოდენობა შეადგენს 28 ერთეულს; გამოყენებითი გრანტების - 7 ერთეულს; უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა ერთობლივი კვლევების გრანტები - 4 ერთეულს; მიზნობრივი გრანტები - 10 ერთეულს; სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი - 1 ერთეულს; ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი - 8 ერთეულს და საკონფერენციო გრანტი - 1 ერთეული. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო კონკურსში მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 207 მეცნიერ-თანამშრომელი. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, უნივერსიტეტში კვლევების კომერციალიზაციის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობა, მათი მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, რისთვისაც 2018 წლის დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებული იყო 2017 წელს აუთვისებელი საკასო ნაშთი - **698 205 ლარი** და უშუალოდ 2019 წელს მისაღები - **1 540 407 ლარი**. სულ ფონდის გრანტების საგეგმო მაჩვენებელმა 2018 წელს გარდამავალ საკასო ნაშთთან (698 205ლ. + 1 540 407ლ.) ერთად შეადგინა **2 238 612 ლარი**. ფაქტიურად ფონდის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, 2018 წელს საკასო შემოსავალი მიღებულია **1 570 374 ლარი**. 2017 წლის აუთვისებელი საკასო შემოსავლის გათვალისწინებით 2018 წლის საკასო შემოსავალი განისაზღვრა (698 205ლ. + 1 570 374ლ.) **2 268 579 ლარი**. გარდა აღნიშნული საკასო შემოსავლისა, შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ეროვნული

ფონდის გრანტებს, 2018 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან მიღებული აქვთ თანადაფინანსება **20 000 ლარის** ოდენობით, რომლის ნაწილი - 15 687 ლარი (6 000 აშშ დოლარი), ინვესტიციის სახით უნივერსიტეტს მიღებული აქვს ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან (რუსეთის ფედერაცია, დუბნა). თანადაფინანსება - 20 000 ლარის ოდენობით სრულად არის გამოყენებული „კოლაბორაციის საერთაშორისო ვორკშოპი „COMET CM26“-ის ფარგლებში, 2018 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარებული კონფერენციის დასაფინანსებლად. 2018 წელს საკასო შემოსავლიდან გაწეულია ხარჯი **1 161 162 ლარის** ოდენობით, რომელიც საკასო შემოსავლის (2 268 579ლ.) 51,2%-ია. 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით აუთვისებული საკასო ნაშთია (2 268 579ლ. – 1 161 162ლ.) **1 107 417ლარი.** საგრანტო სახსრებზე ხარჯების გაწევა ხორციელდებოდა ტრანშების მიხედვით, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების გათვალისწინებით, რომლის მონიტორინგს ახორციელებს ფონდის მონიტორინგის ჯგუფი.

2018 წლის სანგარიშო პერიოდში, საგრანტო პროექტების შესრულების ფარგლებში, პროექტის უშუალოდ შემსრულებლებზე გაცემულია ხელფასი - **205 748 ლარი**, რომელიც საერთო ხარჯების (1 161 162ლ.) 17,7%-ია. აგრეთვე, მივლინების ხარჯია - **68 532 ლარი**, ოფისის ხარჯია - **18 696 ლარი**, სატრანსპორტო ხარჯი - **2 834 ლარი**, საქონელი და მომსახურეობის ხარჯია - **40 711 ლარი**, სხვა მიმდინარე ხარჯი - **473 637 ლარი** და ძირითადი აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯია - **323 184 ლარი**; წარმომადგენლობითი ხარჯია - **27 312 ლარი** და ინვენტარის შეძენის ხარჯია - **509 ლარი**.

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ჩართულია სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი, საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტი, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტი, შესყიდვების დეპარტამენტი და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. გრანტის პროექტის შესრულებაზე არსებობს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, შედგენილი კანონის სრული დაცვით. ყოველკვარტალური ანგარიში წარედგინება შ. რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ეროვნულ ფონდს. გრანტის დასრულების შემდეგ, გამოუყენებელი სახსრები დაბრუნებულია გამცემის (ფონდის) ანგარიშზე: ყველა დასრულებულ (დახურულ) საგრანტო პროექტებზე დგება საბოლოო შედარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ფონდის

და სტუ-ს ხელმძღვანელი პირები, აგრეთვე, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და პროექტის ყველა ძირითადი შემსრულებელი პირები. ფონდში წარდგენილი ფინანსურ ანგარიშებზე, ფონდის მონიტორინგის სამსახურის მხრიდან, შენიშვნები არ დაფიქსირებულა, რომელიც გავლენას მოახდენდა პროექტის საბოლოო შესრულებაზე.

6. საერთაშორისო მიზნობრივი გრანტი (პროგრამული კოდი 32 04 05 02)

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მოპოვებული ჰქონდათ 12 საერთაშორისო მიზნობრივი გრანტი. ძირითადად მოპოვებულია „ეროკავშირის“, „TEMPUS“-ის, „ERASMUS“-ის, ავსტრიის განათლებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სააგენტოს გრანტები. 2018 წლის მოქმედი გრანტებიდან, 12 საგრანტო პროექტი მოპოვებულია 2017 წლამდე, ხოლო 2017 წელს მოპოვებულია მხოლოდ „ERASMUS“-ის 4 გრანტი. 2017 წელს დასრულდა 4 საგრანტო პროექტი და 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, მოქმედია 12 ერთეული საგრანტო პროექტი. გრანტების დაფინანსების პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას; საქართველოში მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვას. 2018 წლის გეგმაში, საერთაშორისო მიზნობრივი გრანტების დაფინანსებაში გათვალისწინებული იყო - 2017 წელს აუთვისებელი საკასო ნაშთი - **74 354 ლარი** და უშუალოდ 2018 წელს მისაღები **321 505 ლარის** გათვალისწინებით წლიური საგეგმო მაჩვენებელი განისაზღვრა (74 354ლ. + 321 505ლ.) **395 859 ლარი**. 2018 წლის საკასო შემოსავალი, 2017 წლის აუთვისებელი საკასო შემოსავლის - **74 354 ლარის** და 2018 წელს უშუალოდ მიღებული - **319 077 ლარის** გათვალისწინებით საკასო შემოსავალი დაფიქსირდა (74 354ლ. + 319 077ლ.) **393 431 ლარი**. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი **330 877 ლარის** ოდენობით. საგრანტო პროექტების შესრულებისათვის ხელფასის მუხლიდან გაწეულია საკასო ხარჯი - **203 011 ლარი**, მივლინებებზე - **123 392 ლარი**, ოფისის ხარჯია **1 610 ლარი** და წარმომადგენლობითი ხარჯია - **2 864 ლარი**. 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი საკასო ნაშთი დაფიქსირდა (393 431ლ. - 330 877ლ.) **62 554 ლარი**. დონორ ორგანიზაციებს, სახელშეკრულებო საგრანტო ვალდებულებების დაცვით წარედგინებათ ანგარიშები, მათ მიერ დადგენილი ფორმებით და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ადმინისტრირების და საფაკულტეტო დაფინანსების, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული დაფინანსების ხარჯვითი ნაწილის ანალიზი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის შემოსულობები ფორმირებულია სწავლის საფასურიდან, შენობების და ნაგებობების იჯარიდან, ან მართვაში გადაცემიდან, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან მიღებული შემოსულობებით, რომელიც მიმართულია ადმინისტრაციისა და საფაკულტეტო დაფინანსებაზე. 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების მიხედვით, გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებლები, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ძირითადი მუხლების მიხედვით მოყვანილია ცხრილ N7-ში.

ცხრილი N7

მუხლები	კოდი	ხარჯი დამტკიცებული გეგმით	საკასო ხარჯი	შესრულ.%	გადახრა
სულ ასიგნება		57,595,253.00	53,770,129.00	93.4	3,825,124.00
ხარჯი	2	55,649,898.00	52,628,012.00	94.6	3,021,886.00
შრომის ანაზღაურება	21	27,364,568.00	26,020,702.00	95.1	1,343,866.00
საქონელი და მომსახურეობა	22	23,776,941.00	22,311,341.00	93.8	1,465,600.00
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	15,384,070.00	15,352,130.00	99.8	31,940.00
მივლინება	222	605,419.00	492,999.00	81.4	112,420.00
ოფისის ხარჯები	223	4,940,778.00	4,399,445.00	89.0	541,333.00
წარმომადგენლობითი ხარჯი	224	405,794.00	240,918.00	59.4	164,876.00
სამედიცინო ხარჯები	226	5,978.00	5,958.00	99.7	20.00
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	70,274.00	17,767.00	25.3	52,507.00
ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	228	88,837.00	80,737.00	90.9	8,100.00

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	2,275,792.00	1,721,386.00	75.6	554,406.00
პროცენტები	24	91,875.00	80,231.00	87.3	11,644.00
სუბსიდიები (გრანტი)	26	39,000.00	26,086.00	66.9	12,914.00
სოციალური უზრუნველყოფა	27	286,722.00	261,679.00	91.3	25,043.00
სხვა ხარჯი	28	4,090,792.00	3,928,974.00	96.0	161,818.00
არაფინანსური აქტივების ზრდა	31	1,945,356.00	1,142,118.00	58.7	803,238.00
ვალდებულებების კლება	33				

2018 წლის საანგარიშო პერიოდისათვის, ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი პრიორიტეტების ხარჯვითი ნაწილის მუხლობრივი ანალიზით დგინდება, რომ ადმინისტრაციის, ადმინისტრირების და საფაკულტეტო დაფინანსების გეგმიური ჯამური ასიგნება ეკონომიკურ საქმიანობაში განისაზღვრა **57 595 253 ლარი**, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა **53 770 129 ლარი**, რაც ჯამური ასიგნების 93,4%-ია. მუხლების მიხედვით საკასო ხარჯის გადამეტებას დაზუსტებულ გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში ადგილი არა აქვს. საკასო შესრულება გეგმასთან მიმართებაში მერყეობს 58,7%-იდან - 99,8%-მდე და საშუალო საკასო შესრულებამ გეგმასთან მიმართებაში შეადგინა 93,4%. წარმოგიდგენთ ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ძირითადი მუხლების მიხედვით საკასო შესრულების ანალიზს.

7.1. ხარჯები - კოდი 2: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ადმინისტრირებისა და საფაკულტეტო დაფინანსების პროგრამით ხარჯვითი ნაწილის გეგმიური მაჩვენებელი 2018 წლის დამტკიცებულ გეგმაში (არაფინანსური აქტივების ზრდის და ვალდებულებების კლების გარეშე) განისაზღვრა **55 649 898 ლარი**. საკასო ხარჯი ამავე პერიოდისათვის შეადგენს **52 628 012 ლარს**, რაც გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში შეადგენს 94,6%-ს. წარმოგიდგენთ ხარჯვითი ნაწილის მუხლობრივ ანალიზს:

7.2 შრომის ანაზღაურება - კოდი 21:

2018 წლის შრომის ანაზღაურება საშტატო ერთეულებისათვის გეგმით გათვალისწინებული არის **27 364 568 ლარი**, რაც გასული წლის მაჩვენებელთან (27 820 777ლ.) მიმართებაში შემცირებულია **456 209ლარით**. შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა შეადგინა **26 020 702 ლარი**, რაც სახელფასო გეგმიური მაჩვენებლის 95,1%-ია. 2018 წლის სახელფასო ხარჯი, გასული წლის საკასო ხარჯთან მიმართებაში (26 333 268ლ.), შემცირებულია **312 566 ლარით**. საშტატო ერთეულების შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციის, ადმინისტრირების და საფაკულტეტო საკასო ხარჯთან (52 628 012ლ.) მიმართებაში შეადგენს 49,4%-ს. შრომის ანაზღაურების ქვემუხლობრივი ანალიზით დგინდება:

- **საშტატო ერთეულებისათვის (კოდი 21111. თანამდებობრივი სარგო):** შრომის ანაზღაურების გეგმიური მაჩვენებელი საშტატო ერთეულში დანიშნული თანამშრომლებისთვის 2018 წელს განსაზღვრული იყო **25 914 040 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **25 148 930 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97,1%-ია და ეკონომია დაფიქსირდა **765 110 ლარი**;

- 2018 წლის საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული გეგმით, **პრემია (კოდი 21113)** საშტატო ერთეულებისათვის გათვალისწინებულია **667 664 ლარი**. პრემიის საკასო ხარჯმა შეადგინა **92 845 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 13,9%-ია და ეკონომიამ შეადგინა **574 819 ლარი**;

- **დანამატი - კოდი 21114:** დამტკიცებულ გეგმაში დანამატი გათვალისწინებულია **782 864 ლარი**. აღნიშნული დანამატი განკუთვნილია ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის საშტატო ერთეულებისათვის, რომლებსაც დაეკისრათ დამატებითი სამუშაოს შესრულება თანამდებობრივი ვალდებულებების ზევით და რომელთა შესრულება საქართველოს შრომის კანონის შესაბამისად ხორციელდება არასამუშაო საათებში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში. საკასო ხარჯმა დანამატის მუხლით 2018 წელს შეადგინა **778 927 ლარი**, რომელიც გეგმიური მაჩვენებლის 99,5%-ია და მიღებულია ეკონომია **3 937 ლარი**. ფაკულტეტებისათვის დანამატის მუხლში გაწეული ხარჯი მოიცავს აკადემიური დეპარტამენტების ხელმძღვანელობისათვის ბრძანებით დანიშნულ ანაზღაურებას **214 526 ლარის** ოდენობით, არასამუშაო საათებში მუშაობისათვის ანაზღაურებას (ზეგანაკვეთური) – **44 166 ლარს**. სულ დანამატების სახით ფაკულტეტებზე გაცემულია **258 692 ლარი**.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის საშტატო თანამშრომლებზე დანამატი გაცემულია **520 235 ლარი**. მათ შორის ბრძანებით დანიშნული დანამატია **17 976 ლარი**, ხოლო არასამუშაო

საათებში გაწეული შრომის (ზეგანაკვეთური) ანაზღაურებაა **502 259 ლარი**. საშტატო ერთეულებზე შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული დანამატი, სტრუქტურული ერთეულებისა და დანამატის სახეების მიხედვით მოყვანილია ცხრილ N8-ში.

ცხრილი N8

N	სტრუქტურული ერთეულები	შტატით დანამატი დანიშნული ბრძანებით	არასამუშაო საათების ანაზღაურება (ზეგანაკვეთური)	სულ
1	სამშენებლო ფაკულტეტი	27,945.00	1,161.00	29,106.00
2	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი	19,621.00	775.00	20,396.00
3	სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტი	15,525.00	1,161.00	16,686.00
4	ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტი	16,341.00		16,341.00
5	სატრანსპორტო და მანქანათმშ.-ის ფაკულტეტი	31,284.00		31,284.00
6	არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი	10,925.00		10,925.00
7	ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი	8,715.00	38,669.00	47,384.00
8	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი	37,951.00		37,951.00
9	დიზაინის სკოლა	2,750.00		2,750.00
10	აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი	12,420.00	775.00	13,195.00
11	საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	18,630.00	1,240.00	19,870.00
12	სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი	12,420.00	386.00	12,806.00
	სულ:	214,527.00	44,167.00	258,694.00
13	ადმინისტრაცია	17,976.00	502,259.00	520,235.00
	სულ:	232,503.00	546,426.00	778,929.00

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შტატით მომუშავეთა საკასო შრომის ანაზღაურება 2018 წელს დაფიქსირდა **26 020 702 ლარი**, რომელიც გაიცა ხელფასის მუხლიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში, შტატიან თანამშრომლებზე გაიცა ხელფასი - **14 201 ლარის** ოდენობით, რომელიც ხარჯების (სხვა) მუხლშია გატარებული. აღნიშნული თანხის გათვალისწინებით საკუთარი სახსრებით დაფინანსებული, შტატით მომუშავე თანამშრომელთა საკასო ანაზღაურება შეადგენს **26 034 903 ლარს**. შტატით მომუშავეთა ანაზღაურება განაცემთა სახეების მიხედვით მოყვანილია ცხრილ N9-ში, რომელიც სათითაოდ ზემოთ იყო განხილული.

ცხრილი N9

N	ხელფასის სახეების მიხედვით	ხელფასი სულ	საკუთარი სახსრები	სხვა წყაროები
	შტატით			
1	ხელფასი ფულადი ფორმით	26034903.07	26034903.07	
	მათ შორის:			
2	თანამდებობრივის არგო	25148929.64	25148929.64	
3	პრემია	92845	92845	
4	დანამატი	232502.2	232502.2	
5	ზეგანაკვეთური	546425.23	546425.23	
6	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში გაცემული ხელფასი	14201	14201	

7.2. საქონელი და მომსახურება (კოდი 22): საქონელი და მომსახურების მუხლით გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა **23 776 942 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **22 311 341 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.8%-ია. „საქონელი და მომსახურების“ მუხლში არ არის ათვისებული **1 465 600 ლარი**. წარმოგიდგენთ „საქონელი და მომსახურების“ ხარჯვითი ნაწილის მუხლობრივ ანალიზს:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (კოდი 221):

2018 წელს შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგო (კოდი 221) გეგმით გათვალისწინებული იყო **15 384 070 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **15 352 130 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ია და შტატგარეშეთა ანაზღაურებაში ეკონომიამ შეადგინა **31 940 ლარი**. 2018 წლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების საკასო ხარჯი, 2017 წელთან მიმართებაში გაზრდილია (15 352 130ლ. – 12 053 012ლ.) 3 299 118 ლარით, რომელიც ძირითადად გამოწვეულია შიდა სამეცნიერო/კვლევითი პროექტების ხარჯზე, ასევე 2018 კალენდარულ წელს გაზრდილი იყო ე.წ. მოკლევადიანი ხელშეკრულებების რიცხვი, რაც გამოწვეული იყო ავტორიზაციის პროცესისთვის მზადებით (საკუთარი სახსრებიდან დაფინანსება) და გერმანიის ქ.ფრანკფურტში წიგნების საერთაშორისო ბაზრობისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებით (სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება), წარმოგიდგენთ ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ანალიზს:

1. ფაკულტეტების შტატგარეშეთა ანაზღაურება გაიცემა მოწვეულ პროფესორ-მასწავლებლებზე, ასევე საათობრივი ანაზღაურების სახით, ხელშეკრულებით აყვანილ მასწავლებლებზე (ლაბორანტებზე) და ერთჯერადი შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ ფიზიკურ პირებზე. 2018 წელს შტატგარეშე ანაზღაურება ფაკულტეტების მიხედვით გაცემულია **10 267 618 ლარის** ოდენობით, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში 66,9%-ს უდრის. ფაკულტეტების ჭრილში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება განაცემთა სახეების მიხედვით, მიყვანილია ცხრილ N10-ში.

ცხრილი N10

N	ფაკულტეტის დასახელება	შტატგარ. ანაზღაურ.	საათობრ. ანაზღაურ.	შრომითი ხელშეკრ.	შტატგარ. დანამატი	შტატგარ. პრემია	ზეგანაკვეთ შტატგარ.	პროექტ
1	სამშენებლო	334423	200785	31415				
2	ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია	221445	246807	10342				
3	სამთო-გეოლოგიური	188701	315167	3357				
4	ბიზნეს-ტექნოლოგიები	275775	174461	32998				33728

5	სამართლისადასაერთაშორისო ურთიერთობები	782395	52630	21557		4650	1003	120415
6	საინჟინრო ეკონომიკა	1263488	219942	4714			14430	52502
7	დიზაინის სკოლა	40717	44653	1567				
8	აგრარული	429740	219566	21513				
9	ქიმიური ტექნოლ. დამეტალურგია	320621	129758	36054		1350		2145
10	სატრანსპორტო დამანქანებზე მშენებლობა	399887	358143	33139				
11	ინფორმატიკა დამართვის სისტემები	913974	326745	31862	1161	550		
12	არქიტექტურა	311987	128273	25861	2100			
	ჯამი:	5483153	2416930	254379	3261	6550	15433	208791

- შტატგარეშე მომუშავე ფაკულტეტზე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც ხელშეკრულებით დანიშნული აქვთ ფიქსირებული ხელფასი, 2018 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული აქვთ შტატგარეშე ანაზღაურება **5 483 153 ლარი**, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს 35,71%-ს;
- პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ფაკულტეტზე არიან მოწვეულები და ხელშეკრულებით ღებულობენ საათობრივ ანაზღაურებას, 2017 წელს მიღებული აქვთ შტატგარეშე ანაზღაურება **2 416 930 ლარი**, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს - 15,74%-ს. (ჯამურად, პროფესორ-მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულების ანაზღაურებამ, შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგინა 51,5%)
- ერთჯერადი შრომითი ხელშეკრულებით ფაკულტეტზე აყვანილ ფიზიკურ პირებზე, 2017 წელს გაცემულია შტატგარეშე ანაზღაურება - **254 379 ლარი**, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში - 1,65%;
- შტატგარეშე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებზე ფაკულტეტებს გაცემული აქვს დანამატი - **3 261 ლარი**, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს 0,02%-ს;

- შტატგარეშე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებზე ფაკულტეტების მიხედვით გაცემულია პრემია, რომელიც ჯამურად შეადგენს **6 550 ლარს**, რაც შტატგარეშე მომუშავეთა საკასო ანაზღაურებასთან მიმართებაში - 0,04%-ს;

- ფაკულტეტებს 2018 წელს თანამშრომლებზე გაცემული აქვთ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება - **15 433 ლარის** ოდენობით, რომელთა შესრულება, საქართველოს შრომის კანონის შესაბამისად ხორციელდება არასამუშაო საათებში, რომლის ხვედრითი წილი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს 0,1%-ს;

- ფაკულტეტებს შიდა პროექტებზე დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებლებზე პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოსთვის გაცემულია ანაზღაურება - 2 087 912 ლარი, რომლის ხვედრითი წილი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს 13,6%-ს. პროექტები ხორციელდება სტუ-ს 4 ფაკულტეტზე, კერძოდ: ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტზე (337 281 ლარი); სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე (1 204 157 ლარი); საინჟინრო ეკონომიკისა და მედიატექნოლოგიების ფაკულტეტზე (525 024 ლარი) და ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე (21 450 ლარი).

2. ადმინისტრაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2018 წელს შეადგენს **4 474 936 ლარს** (ამ თანხიდან 979 048 ლარი ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად, კერძოდ ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნების ფესტივალისთვის სამუშაოს შესრულებისა და ზოგიერთი კატეგორიის თანამშრომელთა ქ. ფრანკფურტში მივლინების დაფინანსების მიზნით) რაც შტატგარეშე ანაზღაურებასთან მიმართებაში შეადგენს 29%-ს. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების კრილში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება, განაცემთა სახეების მიხედვით, მოყვანილია ცხრილ N11-ში.

ცხრილი N11

N	ფაკულტეტის დასახელება	შტატგარ. ანაზღაურ.	საათობრ. ანაზღაურ.	შრომითი ხელშეკრ.	შტატგარ. დანამატი	შტატგარ. პრემია	ზეგანაკვეთ შტატგარ.	სხვა განაცემები	
1	ადმინისტრაცია	2168023		387003	4450	16925	60540	2086	2639027
2	ანალიზხელსაწყო	237751							237751

3	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი	333284		6495					339779
4	სან-დიეგოს უნივერსიტეტი	226315			1612				227927
5	ინკლუზიური	2892		10259					13151
6	ათასწლეულის თვითდაფინანსება	1000							1000
7	ფრანკფურტის წიგნის ფესტივალი/ბაზრობა	979048							979048
8	შიდა გრანტი	37253							37253
	სულ:	3985566		403757	6062	16925	60540	2086	4474936

ადმინისტრაციის მიერ გაწეული შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების საკასო ხარჯის ანალიზით დგინდება შემდეგი:

- 2018 წელს ადმინისტრაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებიდან, როგორც წესიძირითად ბირთვს წარმოადგენს დამლაგებლების და დაცვის თანამშრომლების, აგრეთვე სპორტული და კულტურული ცენტრების თანამშრომლების ანაზღაურება. შტატგარეშედან გაცემულია დანამატი - 6 062 ლარი(0,03%); პრემია - 16 925 ლარი(0,1%); ზეგანაკვეთური - 60 540 ლარი(0,39%) და სხვა განაცემი - 2 086 ლარი(0,01%).

2018 წელს ადმინისტრაციის და საფაკულტეტო დაფინანსების ხარჯვითი ნაწილის, კერძოდ შტატით და შტატგარეშე შრომის ანაზღაურების ანალიზით დგინდება, რომ ერთობლივი შრომის ანაზღაურება (შტატი + შტატგარეშე) 2018 წლის გეგმაში გათვალისწინებული იყო (27 364 568ლ. + 1 384 071ლ.) 42 748 639 ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული საერთო ხარჯების (55 649 899ლ.) 76,8%-ია. ამავე პერიოდში, ერთობლივი სახელფასო საკასო ხარჯი დაფიქსირდა (26 020 702ლ. + 15 352 130ლ.) 41 372 832 ლარი, რაც ერთობლივი საკასო ხარჯის (52 628 012ლ.) 78,6%-ია.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან (3 985 566 ლარიდან) დაფინანსებულია ადმინისტრაცია 2 168 023 ლარით; ანალიზხელსაწყო - 237 751 ლარით; ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - 334 284 ლარით; სან-დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სალექციო კურსების ჩატარებაზე პროფესორ-მასწავლებლებს აუნაზღაურდა 226 315 ლარი; ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის თანამშრომლებზე გაცემულია ანაზღაურება - 2 892 ლარი;

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაა **979 048 ლარი** და შიდა გრანტი - **37 253 ლარი**.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში, სხვა განაცემების სახით პროფესორ-მასწავლებლებზე, რომლებსაც მიენიჭათ ემერეტუსის წოდება, გაცემულია ანაზღაურება **1 361 593 ლარი**. აგრეთვე, გაცემულია სოციალური დახმარება - **228 263 ლარი**; პრემია/ჯილდო - **150 875 ლარი** და ბიულეტენის სახით ხელფასი - **31 916 ლარი**. თვითდაფინანსების ცენტრიდან გაცემულია სოციალური დახმარება - **1 500 ლარი**. სხვა განაცემები განაცემთა სახეების და წყაროების მიხედვით მოყვანილია ცხრილ N12-ში.

ცხრილი N12

N	ხელფასის სახეების მიხედვით	ხელფასი სულ	საკუთარი სახსრები	სხვა წყაროები
	სხვაგანაცემები:			
1	სხვაგანაცემები	1774152,51		
	მათ შორის:			
2	ემერეტუსი	1361593,05	1361593,05	
3	სოციალური დახმარება	228268,5	228268,5	
4	სოციალური დახმარება ცენტრიდან	1500		1500
5	ჯილდო	150875	150875	
6	ბიულეტენი	31915,96	31915,96	
		1774152,51	1772652,51	1500

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადმინისტრაციის შტატგარეშეთა ანაზღაურება 2018 წელს დაფიქსირდა 3 985 566 ლარი. შტატგარეშე თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ანალიზით დგინდება, რომ შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება ხორციელდება არა მარტო უნივერსიტეტის საკუთარი სახსრებით, არამედ ხელშეკრულების ფარგლებში აღებული პროექტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაფინანსებით. აგრეთვე, თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე ცენტრების მიერ მიღებული სახსრებით. ზემოთ აღნიშნული დაფინანსებები ასახულია შტატგარეშე ანაზღაურების გეგმიურ მაჩვენებელში და შესაბამისად უშუალოდ ზრდის ადმინისტრაციის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების გეგმიურ მაჩვენებელს. ზემოთ მოყვანილი სხვა დაფინანსების წყაროებიდან შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება გაცემულია ათასწლეულის გამოწვევის პროექტში

დასაქმებულ თანამშრომლებზე - **324 284 ლარის** ოდენობით; 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში დასაქმებულ თანამშრომლებზე გაცემულია შტატგარეშეთა ანაზღაურება - **979 048 ლარი**.

როგორც აღნიშნეთ, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ორგანიზებაზე დასაქმებული თანამშრომლების დაფინანსება არ ხორციელდება სტუ-ს შემოსავლებით, ამიტომ ადმინისტრაციის საერთო შტატგარეშე ანაზღაურებაზე აღნიშნული ანაზღაურების გამიჯვნით (გამოკლებით), ადმინისტრაციის მიერ გაწეული შტატგარეშეთა საკასო ხარჯი, დაფინანსებული საკუთარი სახსრებით, ფიქსირდება (3 985 566ლ. – 334 284ლ. – 979 048ლ.) 2 672 234 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული შტატი და შტატგარეშე ანაზღაურებისა, უნივერსიტეტს აქვს სხვა განაცემები ემერეტუსის, სოციალური დახმარების, ჯილდოსა და ბიულეტინის სახით, რომელიც გაცემულია საკუთარი სახსრებით. აგრეთვე, არის ანაზღაურება, რომელიც დაფინანსებულია სხვა და სხვა წყაროებიდან. სრული საუნივერსიტეტო სახელფასო ანაზღაურება, რომელსაც დაუკავდა საშემოსავლო გადასახადი გაცემული საკუთარი სახსრებით და სხვა წყაროებით მოყვანილია ცხრილ N13-ში.

ცხრილი N13

N	ხელფასისა ხელების მიხედვით	ანაზღაურება სულ	საკუთარი სახსრებით	სხვა სახსრებით
	შტატით	შტატით	შტატით	შტატით
1	ხელფასი ფულადი ფორმით	26034903,07	26034903,07	
	მათ შორის:			
2	თანამდებობრივისარგო	25148929,64	25148929,64	
3	პრემია	92845	92845	
4	დანამატი	232502,2	232502,2	
5	ზეგანაკვეთური	546425,23	546425,23	
6	სპეციალისტებისაგან მანათლებლოსა და მკვლევარების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სწავლების ხელშეწყობის ფარგლებში გაცემული ხელფასი	14201	14201	
	შტატგარეშე	შტატგარეშე	შტატგარეშე	შტატგარეშე
7	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	16331178,57	13429222,28	2901956,29
	მათ შორის:			
8	შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივისარგო	13322063,11	13322063,11	

9	ათასწლეულისფონდი	334284,09		334284,09
10	ცენტრებისხელფასი (თვითდაფინანსება)	1568113,92		1568113,92
11	ცენტრებისპრემია (თვითდაფინანსება)	20510		20510
12	პრემია	23475	23475	
13	დანამატი	83684,17	83684,17	
14	ფრანკფურტისწიგნისბაზრობისფარგლებშიგაცემულ იხელფასი	979048,28		979048,28
	სხვაგანაცემები:	სხვაგანაცემები:	სხვაგანაცემები:	სხვაგანაცემები:
15	სხვაგანაცემები	1774152,51	1772652,51	1500
16	მათშორის:			
17	ემერეტუსი	1361593,05	1361593,05	
18	სოციალურიდახმარება	228268,5	228268,5	
19	სოციალურიდახმარებაცენტრიდან	1500		1500
20	ჯილდო	150875	150875	
21	ბიულეტენი	31915,96	31915,96	
		44140234,15	41236777,86	2903456,29

ცხრილში წარმოდგენილი სახელფასო განაცემები ყველა წყაროების მიხედვით (შტატი + შტატგარეშე + სხვა განაცემები), 2018 წლისთვის შეადგენს **44 140 234 ლარს**. მათ შორის ხელფასი საკუთარი სახსრებით გაცემულია **41 236 778 ლარის** ოდენობით, ხოლო სხვადასხვა წყაროებიდან (ათასწლეულის ფონდი, ცენტრები, განათლების სამინისტრო, წიგნის ბაზრობისთვი) გაცემული ხელფასია **2 903 456 ლარი**.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელფასის ფონდი გეგმით გათვალისწინებულ შემოსულობებში განსაზღვრულია 76,8%-ით და ფაქტობრივად მან საკასო ხარჯთან მიმართებაში შეადგინა 78,6%. ეს თავისთავად ცხადყოფს უნივერსიტეტის მაშტაბით თანამშრომელთა გონივრული ოპტიმიზაციის ჩატარების აუცილებლობას და რაც უნდა განხორციელდეს მიმდინარე კალენდარულ წელს.

- მივლინება - (კოდი 222): 2018 წლის დამტკიცებულ გეგმაში, სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლების მივლინების გეგმიური მაჩვენებელი განსაზღვრულია 605 419 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 492 999 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81,4%-ია. სამივლინებო ხარჯი გაწეულია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. მივლინებაზე დგინდება კანონით გათვალისწინებული პირველადი დოკუმენტები და ხარჯის გაწევა ხდება მთავრობის დადგენილებაში გათვალისწინებული ნორმების მიხედვით;

- ოფისის ხარჯი (კოდი 223): 2018 წლის დამტკიცებულ გეგმაში, ოფისის ხარჯის გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა 4 940 778 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 4 399 445 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 89,0%-ია. აღნიშნული მუხლით არ არის ათვისებული 541 332 ლარი. „ოფისის ხარჯის“ მუხლში აუცილებლად უნდა გამოიყოს კომუნალური ხარჯები. 2018 წლის ელ.ენერგიის ხარჯმა შეადგინა 1 031 593 ლარი; წყლის ხარჯმა - 551 258 ლარი და ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯმა - 795 293 ლარი. სულ კომუნალური ხარჯია 2 377 944 ლარი, რომლის ხვედრითი წილი ოფისის ხარჯით ნაწილში (4 399 445ლ.) შეადგენს 54,1%-ს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ გასულ წელთან შედარებით, კომუნალური ხარჯი გაზრდილია 203 713 ლარით. კომუნალური ხარჯი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენს სამომავლოდ დავსახოთ ღონისძიებები კომუნალური ხარჯების შემცირების მიზნით.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, „ოფისის ხარჯის“ მუხლით აუთვისებულია 541 332 ლარი. ქვემუხლობრივი ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ოფისის ხარჯის ზოგიერთ ქვემუხლებზე აუთვისებელი ნაშთი უნდა განვიხილოთ, როგორც მიღებული ეკონომია (მაგალითად: კავშირგაბმულობის, ინტერნეტის, სანიტარული მომსახურების, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის, საფოსტოხარჯების და სხვა). „ოფისის ხარჯის“ ქვემუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ აქტივების შეძენას და შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობა, მათიდაფინანსების ათვისებაზე 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით საგრძნობი წინსვლაა. გასულ წელს აუთვისებელი იყო 3 480 414 ლარი, თითქმის 6-ჯერ მეტი, ვიდრე 2018 წელს. კერძოდ, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის ინვენტარის შეძენა და მონტაჟისთვის განკუთვნილი თანხა ათვისებულია 94,9%-ით. „შენობა-ნაგებობების და მათი მინდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტისთვის“ განკუთვნილი თანხა 98,4%-ით.

- წარმომადგენლობითი ხარჯი (კოდი 224): დამტკიცებულ გეგმაში „საქონელი და მომსახურების“ მუხლში წარმომადგენლობითი ხარჯი გეგმით გათვალისწინებულია **405 794 ლარი**. მიღებების და ღონისძიებების ჩატარებაზე გაწეულია საკასო ხარჯი **240 918 ლარის** ოდენობით, რაც გეგმიური მაჩვენებლის 59,4%-ია. მიღებულია ეკონომია **164 876 ლარი**;

- სამედიცინო ხარჯი (კოდი 226): „საქონელი და მომსახურების“ მუხლში სამედიცინო ხარჯი დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია **5 978 ლარი**. აღნიშნული მუხლით საკასო ხარჯი - **5 958 ლარი** გეგმის 99,7%-ია. „სამედიცინო დეზინფექციის - დერატიზაციის და სამედიცინო უტელიზაციის“ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა **4 657 ლარი** და სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯმა - **1 301 ლარი**;

- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი (კოდი 227): „საქონელი და მომსახურების“ მუხლში „რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის“ ხარჯი დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია **70 274 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **17 767 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 25,9%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მუხლით საკასო ხარჯის მაჩვენებელი დაბალია. მიღებულია ეკონომია - **52 507 ლარის** ოდენობით;

- ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი (კოდი 228): „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახულია **88 837 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **80 737 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90,9%-ია. მიღებულია ეკონომია - **8 100 ლარი**;

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (კოდი 2210): „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი გათვალისწინებული იყო **2 275 792 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **1 721 386 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 75,6%-ია. „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლით გათვალისწინებულია ექსპერტიზის, რეკლამის, საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის, აუდიტორული მომსახურების, ორდენების, სიგელების, სუვენირების, სტანდარტიზაციის, სერთიფიკაციის, საეცნიერო და ტენდერის ჩატარების ხარჯები. აღნიშნული მუხლით, გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში აუთვისებელი თანხაა **554 406 ლარი**, რაც შეიძლება ჩაითვალოს მიღებულ ეკონომიად. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ხარჯებისთვის გეგმით გათვალისწინებული თანხა შეადგენდა **755 242 ლარს**. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა **591 970**

ლარი. აღნიშნულ მუხლშიცალკე უნდა აღინიშნოს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და „CERN“ შორის ურთიერთობის საკითხი: ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციისა (CERN) და საქართველოს მთავრობას შორის 2008 წელს გაფორმებული თანამშრომლობის (შეთანხმების) ფარგლებში, განისაზღვრა ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციისა და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობა. თანამშრომლობის მიზანია ახალი მცირე თვალის ალუმინის მექანიკური სტრუქტურის დიზაინისა და წარმოების საქმეში ATLAS-ის მცირე თვლების პროექტის განახლება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში „ცერნი“ ვალდებულია პროექტი დააფინანსოს **240 000 ევროთი**. უნივერსიტეტმა პროექტის ფარგლებში ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ელიტა-ბურჯს“. ხელშეკრულების საფუძველზე, სახელშეკრულებო თანხის ნახევარს - 240 000 ევროს ოდენობით აფინანსებდა „ცერნი“. 2017-2018 წლებში „ცერნი“-დან მიღებულია **167 640 ევრო** და შპს „ელიტა-ბურჯს“ ჩაერიცხა **491 960 ლარი**. 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით „ცერნი“-დან არ არის მიღებული **72 360 ევრო** და ამავე პერიოდისთვის არ არის დაფარული შპს „ელიტა-ბურჯი“-ს დავალიანება - **178 720 ლარი**.

„სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის“ მუხლში გარკვეული ქვემუხლებით მიხედვით დაფინანსების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა 2017 წელს, როგორცაა კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და სტაჟირების გავლასთან აკავშირებით. აგრეთვე, სესიების, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასთან და საწარმო პრაქტიკის გავლასთან მიმართებაში. აღნიშნული მიმართულებებით 2018 წელს საგრძნობი წინსვლაა და დაფინანსების ათვისება მერყეობს 81%-დან - 99,9%-მდე.

8. პრიორიტეტები საშინაო ვალდებულებაზე:

2017 წლის 20 ივლისს, სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების ფარგლებში გადასახადი პროცენტი დაიგეგმა **91 875 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **80 231 ლარი** და მიღებულია ეკონომია - **11 644 ლარი**.

9. გრანტები (კოდი 26):

აღნიშნულ საგრანტო გადასახადში იგულისხმება საწევრო გადასახადი, რომელიც ირიცხება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში, საგრანტო დაფინანსება გათვალისწინებულია **39 000 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **25 086 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 66,9%-ია.

10. სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 27):

სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება დამტკიცებულგეგმაში გათვალისწინებულია **286 722 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **261 678 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,3%-ია. აღნიშნული მუხლით უნივერსიტეტის მიერ ძირითადად გაცემულია სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებით.

11. სხვა ხარჯები (კოდი 28):

სხვა ხარჯების მუხლში დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებულია დაფინანსება **4 090 792 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **3 928 974 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96,1%-ია. აღნიშნული მუხლით საკასო შემოსავალი მთლიანად ათვისებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში **161 818 ლარის** ეკონომიას.

სხვა ხარჯების მუხლით გადახდილია სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის გადასახადი - **1 771 ლარი**. განხორციელებულია ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. კერძოდ გადახდილია ქონების გადასახადი - **755 261 ლარი**; მოგების გადასახადი - **899 581 ლარი**; დღ-ს გადასახადი - **44 015 ლარი** და მოსაკრებელი - **60 574 ლარი**. აღნიშნული მუხლის „სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ ქვემუხლიდან (კოდი 282118) სტუ-ს პროფესორ-მასწავლებლებზე გაცემულია ემერეტუსის წოდებისთვის დანიშნული ანაზღაურება - **1 361 593 ლარი**, სტუდენტებისთვის ჯილდო - **150 875 ლარი**, სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა **133 856 ლარი** და სხვა ხარჯების დაფინანსებას - **104 998 ლარი**.

12. არაფინანსური აქტივების ზრდა (კოდი 31):

„არაფინანსური აქტივების ზრდაზე“ დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებულია **1 945 356 ლარი**. საკასო ხარჯმა შეადგინა **1 142 118 ლარი**, რაც გეგმიური მაჩვენებლის 58,7%-ია. აღნიშნული მუხლით აუთვისებელმა თანხამ შეადგინა **803 238 ლარი**.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით შესრულების დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ფაქტიურად არ განხორციელებულა შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები და არ არის ათვისებული 335 798 ლარი (გეგმა - 402 929 ლარი, შესრულება - 67 131ლარი); „სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ ქვემუხლით (კოდი 31 12) გეგმით გათვალისწინებული იყო 1 410 515 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 964 946 ლარი (68,4%) დაარ არის ათვისებული 445 569 ლარი. კონკრეტულად აღნიშნული ქვეპუნქტით კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 203 268 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 92 480 ლარი (45,5%). არ არის ათვისებული 101 788 ლარი. „სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ გეგმიური მაჩვენებელი იყო 1 087 165 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 774 905 ლარი. არ არის ათვისებული 312 260 ლარი.უნდა აღინიშნოს, რომ „არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით“ შესრულების მაჩვენებელი დაბალია და მერყეობს 10,4%-იდან - 84,4%-მდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კულტივირებულ აქტივებს, რომლის გეგმიური და ფაქტიური მაჩვენებელი შეადგენს 1 800 ლარს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა გამოიჩინონ მეტი აქტიურობა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით დაფინანსების ათვისებაში, რომელიც მატერიალური ბაზის უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

2018 წლის საანგარიშო პერიოდის ხარჯების ანალიზიდან დგინდება, რომ მიღებული საკასო შემოსავლიდან ხარჯი გაწეულია დამტკიცებული გეგმის მიხედვით, სადაც დაცულია ხარჯვის მიზნობრიობა და გეგმიურ მაჩვენებელზე ფაქტობრივი ხარჯის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია. ხარჯის დამადასტურებელი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტი შედგენილია მოქმედი კანონის და დებულებების სრული დაცვით. საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად მიმდინარეობდა ხელფასების გაცემა და სხვა ფულადი სახსრების გადარიცხვა ანგარიშებიდან. 2018 წელს პერმანენტულად ხდებდასაწყობის შემოწმება. 2018 წელს განხორციელდა ექსპლუატაციისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა. ამავე წელს ჩატარდა სტუ-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების და მცირეფასიანი ინვენტარის აღწერა. დროულად და

კვალიფიციურად ხორციელდება თვიური, კვარტალური და წლიური დეკლარაციების და ბალანსის ჩაბარება.

13. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“-ს პროექტი

„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“

2016 წლის 01 სექტემბერს გაფორმდა სამმხრივი საგრანტო ხელშეკრულება (N120), „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“-ს (დამფინანსებელი), სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კერძო საკონსულტაციო ფირმა „PEM GmbH“-ს შორის, რომელიც ითვალისწინებს „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ პროექტის განხორციელებას, რომლის მიზანია გააუმჯობესოს ბაზრის მოთხოვნის უნარ-ჩვევების მქონე საქართველოს მოქალაქეების მომზადება ადგილობრივი ეკონომიკის შესაბამისად. აგრეთვე, პროგრამის მიზანია სიღარიბის შემცირება, საქართველოს ეკონომიკის ზრდის მეშვეობით. აღნიშნული მიზნისთვის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე საქართველოს მოქალაქეების მომზადებას ადგილობრივი ეკონომიკისათვის, რომლის ფარგლებში გაიცემა დაფინანსება, რათა შეიქმნას ახალი ან გაფართოვდეს არსებული პროფესიული ტექნიკური განათლებისა და ტრენინგების პროგრამა. პროექტის მიზნობრივი პირობების გათვალისწინებით, ფონდმა უნივერსიტეტს გამოუყო დაფინანსება **2 362 910 აშშ დოლარის** ფარგლებში.

პროექტის შესრულება დაიწყო 2016 წლის სექტემბრიდან და გაგრძელდა 2018 წლის ბოლომდე. აღნიშნულ პერიოდში ეტაპობრივი შესრულებების მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა“ სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჩაურიცხა **3 153 302 ლარი** დღგს- ჩათვლით, რომელიც მთლიანად არის მიმართული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამის უზრუნველსაყოფად. 2018 წლის მე-4 კვარტალში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, პროექტის განხორციელების ფარგლებში მთლიანად შესრულდა.

14. ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულება N234800

2017 წლის 04 აპრილს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება N234800, სადაც „მსესხებელი“ არის საქართველო და მისი წარმომადგენელი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო „სესხის გამცემა“ – „უნიკრედიტ ბანკ ავსტრია“, რომლის ოფისი განთავსებულია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. სესხის მიზნობრიობაა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული „ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს ბაზაზე, ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის დაფინანსება. აღნიშნული მიზნისთვის სასესხო ხელშეკრულება შეადგენს 7 000 000 ევროს. სესხის ხანგრძლივობა შეადგენს 17 წელს. მათ შორის 4 წელი საშელავათო პერიოდია, სადაც საპროცენტო განაკვეთი 0%-ია. გადახდის გრაფიკის მიხედვით, სესხის გადახდას უნივერსიტეტი დაიწყებს 4 წლის შემდეგ 26 ტოლი თანმიმდევრული ნახევარწლიანი გადახდებით. სესხის დაფარვის განხორციელება განსაზღვრულია 13 წლის განმავლობაში. საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 15 ივნისის დადგენილებით (978-11ს) „ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულება“ რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ.

2016 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N2675 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მთავრობისგან მიიღო რეკომენდაცია, შეეთანხმებინა ავსტრიის მხარესთან სესხის ფინანსური მომსახურეობის სავარაუდო პირობები, რომელიც საბოლოოდ დარჩა უცვლელი. ფინანსური მომსახურეობის ფარგლებში დადაგინდა, ვალდებულების გადასახადი, სესხის აუთვისებელ ნაწილზე წლიური 0,5%-ი; ადმინისტრირების ერთჯერადი გადასახადი, სესხის ოდენობის 0,5%-ი; საგრანტო პრემიის სახით წინასწარი გადასახდელი დაახლოებით 22 000 ევრო და აუთვისებელი და დაუფარავი სესხის 1%-ი ყოველთვიურად და მომსახურეობის ერთჯერადი გადასახადი - 1 440 ევრო. 2017 წელს, სესხის ფინანსური მომსახურეობის პირობებიდან გამომდინარე, საქართველოს ტენიკურმა უნივერსიტეტმა საკუთარი სახსრებიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩაურიცხა 144 001,72 ლარი. მათ შორის სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი შეადგენს 73 854 ლარს და კრედიტისთვის მომსახურეობაზე გადახდილია 70 147 ლარი. ანალოგიურად 2018 წელს ფინანსთა სამინისტროზე გადახდილია 122 457 ლარი. მათ შორის გადახდილი პროცენტი შეადგენს 80 231 ლარს, ხლო სესხის მომსახურეობაზე ფინანსთა სამინისტროში გადახდილია 42 226 ლარი.

სსიპ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, 2018 წლის 04 და 11 დეკემბრის სატვირთო-საბაჟო ეკლარაციებით, „უნიკრედიტ ბანკ ავსტრია“-სგან მიიღო ტექნიკური უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი ლაბორატორია დაშლილ მდგომარეობაში, რომლის ღირებულება, ინვოისების საფუძველზე შეადგენს 7 000 000 ევროს, რითაც მომწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ განბაჟებისთვის საჭირო სახსრები - 3 850 000 ლარის ოდენობით, ასიგნების ფარგლებში გამოუყო უნივერსიტეტს, რითაც საბაჟოზე გადახდილია დღგ-ს გადასახადი. დღგ-ს ჩათვლით, დაშლილ მდგომარეობაში მიღებულმა ლაბორატორიის ღირებულებამ შეადგინა 25 200 843 ლარი, რომელიც დადგენილი წესით ასახულია შემოსავალში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნითა და ინიციატივით, 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით განხორციელდა ნაშთების კორექტირება, კერძოდ, 4 888 275 ლარი მოიხსნა N1432 საბალანსო ანგარიშიდან (მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდით) და გადატანილია გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხების N1511 საბალანსო ანგარიშზე. ვალდებულებების კუთხით 4 888 275 ლარი მოიხსნა გრძელვადიანი საბიუჯეტო ვალდებულებების N3311 საბალანსო ანგარიშიდან და გადატანილია წმინდა ღირებულებების N5100 საბალანსო ანგარიშზე. 2018 საანგარიშო წლის ბალანსის მიხედვით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სასესხო ვალდებულება არ ერიცხება.